სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 10 ივლისი 2006 №156 (2778) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენესანსი

1982 24 წლის მერე 2006

იტალია ჩემპიონია

AFP ბერლინიდან

მაესტრო მარჩელო იტალია სიხარულით გაალიკვლიკა



AFP ბერლინიდან



ზინედინ ზიდანი ფეხბურთს ძალიან აღმოსავლურად დაეთხოვა: მეტოქეს მკერდში თავი აკბერა და კარიერა წითელი ბარათით დაასრულა

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ფინალი

AFP ბერლინიდან

ოთხი პენალტი იტალიის ფორ-ცაზე

იტალია 1:1(დ.დ.(პენ.5:3) საფრანგეთი

№64. 9 ივლისი. 22.00. ბერლინი. „ოლიმპიაშტადიონი". 69 000 მაყურებელი

0:1 ზიდანი (7პ), 1:1 მატერაცი (19)

პენალტები: 1:0 პირლო, 1:1 ვილტორდი, 2:1 მატერაცი, 2:1 ტრეზეგე (ხარიხა), 3:1 დე როსი, 3:2 აბიდალი, 4:2 დელ პიერო, 4:3 სანიოლი, 5:3 გროსო



შეცვლა: ვიეირა – 18. ა. დიარა (56), პეროტა – 15. იაკინტა (61), ტოტი – 4. დე როსი (61), ჯამორანეზი – 7. დელ პიერო (86), რიბერი – 20. ტრეზეგე (100), ანრი – 11. ვილტორდი (107)

გაფრთხილება: ძამბროტა (5), სანიოლი (12), მაკელელე (76), მალუდა (111)

გაძევება: ზიდანი (110)

მსაჯები: ორასიო ელიზონდო; დარიო გარსია, როდოლფო ოტერო (არგენტინა)

17	*ჯარიმა*	24
5	*კუთხური*	7
5	*ჯარისკენ დარტყმა*	13
3	*ჯარში დარტყმა*	5
4	*თამაშგარე*	2
55	*ბურთის ფლობა პროცენტულად*	45

მეორე ტაიმსა და ექსტრა-ტაიმებში იტალიას წესიერად არც კი დაურტყამს ფაბიან ბარტეზის კარში, მაგრამ იტალიამ უნაკლოდ შეასრულა პენალტები, რაშიც, ვაღიაროთ, ყოველთვის სუსტი იყო. თუმცა ისიც ვაღიაროთ, რომ შეუძლებელია, მუდამ მარცხდებოდე და ერთხელ მაინც არ გაგიმართლოს პენალტებში. მოკლედ, იტალიას გაუმართლა.

მაგრამ, ამავე დროს, როგორ ვთქვათ, რომ „სკუადრა აძურას" ჩემპიონობა მხოლოდ გამართლება იყო და მეტი არაფერი. იტალიამ ამ ჩემპიონატზე გაუშვა ორად ორი გოლი. ამათგან ერთი ავტოგოლი და ერთიც პენალტი. ამის მერე მხოლოდ გამართლებაზე ლაპარაკი უხერხული ხდება...

მატჩის დასაწყისი თავბრუდამხვევია. მეორე წუთზე ტიერი ანრი მეტოქეს თავით ეჯახება. ერთი ეგ იყო, ათამდე არ დაუთვლია რეფერის, თორემ სუფთა ნოკდაუნი იყო. კიდევ ორი წუთი და, პირველი გაფრთხილება. კიდევ ორი წუთი და მალუდა იტალიელთა საჯარიმოში წაიქცა. ვინ დაარტყამს? რა კითხვაა — რა თქმა უნდა, ზინედინ ზიდანი, ფეხბურთელი, რომელსაც ყველა უპრინციპულეს მატჩში გააქვს გოლი, დიდი ზიდანი, რომელიც ამ მატჩით ფეხბურთს ეთხოვება.

ზიდანი არტყამს — რაღაც არაზიდანური დარტყმა გამოსდის. მის ასეთ დარტყმულს ვერ ვიხსენებ. რბილად ურტყამს, ხარიხა და ბურთი ძირს ეცემა. იტალიელთა წამიერი იმედი, რომ ბურთი ხაზს გარეთ დაეცა, მაგრამ მეორე წამს ეს იმედი კვდება. მე-6 წუთზე საფრანგეთი წინ გადის.

ხოლო თავად ზიდანი ხდება მესამე ფეხბურთელი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალებში სამი გოლი აქვს გატანილი — წინა ორი ვავა და ჯეფრი ჰერსტი არიან.

კალეიდოსკოპი კი ამით არ მთავრდება. კიდევ ორი-სამი წუთი და მატერაცის საკუთარი კარისკენ ჩაჭრილი ბურთი ოდნავ ცდება ბუფონის კარს. კადრში კი მარჩელო ლიპი ჩანს, ფრჩხილებს იკვნეტს...

წუთები გადის. ტემპი თითქოს ოდნავ ეცემა. უფრო სწორად, ერთი მეორის მიყოლებით აღარ ხდება გამოსარჩევი რაღაცები, თორემ ტემპს ასე მალე რა დააგდებს. მით უფრო, გოლი უკვე გასულია.

ახლა გოლი იტალიას უნდა, მაგრამ, როგორ გინდა, საფრანგეთს დაცვაში ღრიჭო უპოვო?! გააკეთო ის, რაც ბრაზილიამ და პორტუგალია ვერ შეძლეს.

და იტალიამ საფრანგეთს სუსტი წერტილი უპოვა — კუთხურები!

პირლო აწვდის, ბარტეზი გამოსვლას აპირებს, მაგრამ უცებ შეყოყმანდება და კარიდან ორიოდ ნაბიჯით გამოსული ჩერდება, ბაქნის წინ კი მატერაცი ვიეირაზე მაღლა ხტება და — გოოოლ!

გალაღებული იტალია კი საფრანგეთს აქილევსის კუხურებს ისევ ურტყამს: იგივე მხრიდან, ისევ პირლო, ისევ მატერაცის თავური და ვიეირას კარიდან გამოაქვს ბურთი. მართალია, იქ მსაჯი ჯარიმას აფიქსირებს, მაგრამ დაცვა ხომ შეცდა.

ცოტა ხანში კვლავ ივივე: მარჯვენა მხარე, პირლო, თავური, ოღონდ ამჯერად ხარიხა. ნუთუ ერთხელ ვერ უნდა გამოიტანონ ფრანგებმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი?

ამას ვეღარ გავიგებთ, რაკი იტალიელებმა თავისი წილი კუთხურები პირველ ტაიმში ჩააწოდეს, მომდევნო 75 წუთი ისინი თავს იცავდნენ...

როგორ გაატარა ანრი ორმა მცველმა? იტალიელთა ბედი, ანრის განივმა პასმა მალუდამდე რომ ვერ მიაღწია — ეს უკვე მეორე ტაიმის პირველი სახიფათო ეპიზოდია, რასაც ფრანგთა კიდევ რამდენიმე შეტევა მოსდევს. იტალია, წესით, მოგვიანებით უნდა აფეთქდეს, როგორც პირველ ტაიმში იყო, მაგრამ წუთი წუთს მისდევს, მსგავსი კი არაფერი ხდება.

ერთი ეს დამამახსოვრდა: იტალიელებმა კონტრშეტევა წამოიწყეს და ბარტეზის საჯარიმოში ჩავიდნენ. კონტრშეტევა კი იმით დასრულდა, რომ... რიბერიმ და მალუდამ კონტრ-კონტრიერიში მოაწყვეს.

ისევ ფრანგების იერიშები. ლიპი ორ შეცვლას ერთდროულად აკეთებს. ამით იტალია თითქოს ცოცხლდება და — გოოოლ, მაგრამ ალამი აწეულია, ტონი თამაშგარეშია. პირველი ტაიმის მერე ეს არჩათვლილგოლიანი ეპიზოდი მეორე იყო, როცა იტალიამ ფრანგთა საჯარიმოში შეიარა (პირველი კონტრშეტევა უკვე ვახსენე). მესამე შევლისას ლუკა ტონიმ ბურთი ხელით გაიჩერა და მეტად ბარტეზი აღარც შეუწუხებიათ.

ფრანგები? უტევენ. ანრი საჯარიმოში შერბის. იტალიელთაგან იქ მხოლოდ კანავარო და ბუფონი არან, კაპიტანი დაფარებას ვერ ასწრებს, მაგრამ ბუფონი ყოჩაღობს.

წუთი წუთს კი, რაღა თქმა უნდა, ისევ მისდევს. სადღაც მე-80 წუთზე ზიდანი კანავაროსთან შეჯახებისას მხარს იშავებს და ექიმს ითხოვს. აზრმა გამიელვა: ვთქვათ და, ტრავმა სერიოზული რომ აღმოჩნდეს, ნუთუ ასე უბრალოდ უნდა დასრულდეს ზიდანის კარიერა? ზიზუ მოედნიდან გაჰყავთ, მხარს უყინავენ და შემოსვლას ითხოვს. ცხადია, იმ დროს წარმოდგენა არ მაქვს, როგორი იქნება ზიდანის კარიერის დასასრული...

პირველი ექსტრა ტაიმის ორი საკვანძო მომენტი:

რიბერი ორ მცველს შუა ძვრება, ურტყამს და ბურთი ოდნავ ცდება კარს. წამსვე მას დავიდ ტრეზეგე ცვლის — ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც რამდენიმე წუთის მერე პენალტს გააფუჭებს.

მეორე საკვანძო მომენტი კი 114-ე წუთზე ზიდანის თავურია — ბრწყინვალე თავური. ბუფონის მოგერიებულს კი უბრწყინვალესი ეთქმის. რამდენიმე წუთში ზინედინის სხვა თავურსაც ვნახავთ...

მეორე ექსტრა-ტაიმი. 109-ე წუთი. ზიდანის და მატერაცის ორთაბრძოლა, რომელიც აბსოლუტურად მშვიდობიანად მთავრდება — არანაირი უხეშობა, არაფერი ზედმეტი. ზიდანი თავისი გზით მიდის. უცებ მკვეთრად ტრიალდება, მატერაცისთან მიდის და მკერდში თავს ურტყამს. ალბათ მატერაცი რაღაც ისეთი უთხრა, რამაც ზიდანი ამ თავურამდე მიიყვანა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ პანტომიმის მაყურებლები ვართ, სატელევიზიო კადრში სიტყვები არ ისმის, მხოლოდ ზიდანის თავური ჩანს.

არბიტრს არაფერი დაუნახავს, სამაგიეროდ, დაინახა თანამსაჯმა. არბიტრი მასთან მირბის. ჩვენ არც თანამსაჯის სიტყვები გვესმის, მაგრამ საჭირო აღარც არის, ისედაც ვხვდებით, რას ეუბნება არბიტრს. არგენტინელი მსაჯი ახლა ზიდანისკენ მიემართება, ხელი კი უკანა ჯიბისკენ მიაქვს, სადაც ბარათები ულაგია და სანამ ამოიღებს, ყველანი ვხვდებით, რომ დიდი ზინედინ ზიდანის კარიერა ამით დასრულდა...

საფრანგეთს მოედანზე აღარ ჰყავს ზიდანი, ანრი, ვიეირა, ათი ფეხბურთელითაა, იტალია კი მაინც ვერ მიდის წინ....

პენალტები. იტალიამ ოთხი პენალტი გაიტანა, საფრანგეთიდან დავიდ ტრეზეგემ გააფუჭა. მისი დარტყმული, ზიდანის საპირველტაიმო პენალტის მსგავსად, ხარიხას ხვდება, მაგრამ ამ მსგავსებას უზარმაზარი განსხვავებაც ახლავს — ტრეზეგეს დარტყმის მერე ხარიხიდან ასხლეტილი ბურთი ხაზს აქეთ ეცემა.

ბურთთან მეხუთე იტალიელი, გროსო მიდის. რა იქნებოდა, ზიდანი რომ არ გაეგდოთ? ერთი პენალტისტი უთუოდ ის იქნებოდა და ეგებ სწორედ ტრეზეგეს მაგიერ დაერტყა... ან რიბერი რომ არ შეეცვალათ...

წამის მერე კი ეს ფიქრები ქრება — გროსომ გაიტანა და იტალია მსოფლიოს ჩემპიონია!

გიორგი დარჯანია

AFP ბერლინიდან

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად
დროის წამობრივი ალრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე!
ჯეოსელისა

და ლაი-ლაის
აბონენტებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006
და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში
სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე
და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის სხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის კიმნები.

ყველა, ვინც კი
კარგ გოლს ელის
ეთაგულია
ჯეოსელის

FIFA WORLD CUP
GERMANY
2006

www.geocell.ge

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
SLOT POKER CLUB VEGA
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

მატჩი მესამე ადგილისთვის

AFP ბერლინიდან

გერმანია 3:1 პორტუგალია

№63. 8 ივლისი. 23.00. ბუენოს-აირესი. „ბოტლის დაიმლერ შტადიონი". 52 000 მაყურებელი

1:0 შვაინშტაიგერი (56), 2:0 პეტიტი (60ს.კ.),
3:0 შვაინშტაიგერი (78), 3:1 ნუნუ გომეში (88)



შეცვლა: კოშტინია – 8. პეტიტი (46), კლოზე – 10. ნოვოტნი (65), ნუნუ ვალენტე – 21. ნუნუ გომეში (69), პოდოლსკი – 9. ჰანკე (71), პაულეტა – 7. ფიგუ (77), შვაინშტაიგერი – 15. ჰიცლშპერგერი (79)

გაფრთხილება: ფრინგსი (7), რიკარდუ კოშტა (24), კოშტინია (33), ფერეირა (60), შვაინშტაიგერი (78)

მსაჯები: ტორუ კამიკავა;
იოშიკაცუ ჰიროშიმა (იაპონია), დაე-იონგ კიმი (კორეა)

15	კარიმა	15
2	კუთხური	7
12	კარისკენ დარტყმა	13
5	კარში დარტყმა	8
1	თამაშგარე	3
43	ბურთის ფლობა პროცენტულად	57

მიდი, ღორუკავ!

სკოლარიმ გერმანელთა ტვინში ჩაიხედა

საჭირბოროტო საკითხს, საჭიროა თუ არა მატჩი მესამე ადგილისთვის, გერმანიამ თავისებურად უპასუხა — ეს მატჩი საჭირო იყო მისთვის და არა მხოლოდ — სრულიად გერმანიამ ბრინჯაოთი დიდად გაიხარა და ეს იყო ბოლო სანაკრებო მატჩი არა მარტო გერმანელთა დიადი მეკარისთვის, არამედ ლუიშ ფიგუსთვისაც.

34 წლის ფიგუ მიმქრალი ვარსკვლავი არ ყოფილა გერმანიაში, არავარსკვლავურ ფეხბურთში ის კვლავაც ვარსკვლავი იყო და ასეთად წარმოჩნდა ამ შეხვედრაშიც — პორტუგალია ბევრს ჯახირობდა გოლის გასატანად და ეს მხოლოდ ფიგუს მოედანზე შესვლის შემდეგ შეძლო — ფიგუმ უზადო საგოლე პასი შეასრულა ნუნუ გომეშისთვის და ნაკრებიდან წავიდა.

„ჩემთვის ძალიან ძნელია ნაკრების მიტოვება. რაც შემეძლო, მისთვის ყველაფერი გავაკეთე და გუნდმაც ყველაფერი გააკეთა ჩემთვის" — განაცხადა ფიგუმ, რომელმაც ნაკრებში 127-ჯერ ითამაშა.

ახლა კი ბასტიან შვაინშტაიგერის დროა. მიუნხენის „ბაიერნის" 21 წლის შუახაზელი ამ მატჩამდე მუნდიალზე უგოლოდ იყო და ნაკრებში მანამდეც ვერ გაეტანა გოლი. რაკიღა ის გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედია, მესამე ადგილისთვის მატჩში შესრულებულ 25-30 მეტრიანი ჰაუბიცები მისთვის და მთელი გერმანიისთვის ნეტარების მომგვრელი უნდა იყოს — ორი გოლი, ორივე შორეული, ჰაერში ზიგზაგმოხაზული, რიკარდუსთვის რეტდამსხმელი ბურთები.

ორივე გუნდი ლაღად გაისარჯა და ცქრიალა თამაში გამოვიდა. გერმანიას ტრავმიანები, მიხაელ ბალაკი, პერ მერტესაკერი და არნე ფრიდრიხი არ ჰყავდა. მერტესაკერის ადგილი ზანტმა, მაგრამ გამოცდილმა იენს ნოვოტნიმ დაიკავა, ბალაკისა სებასტიან კელიმ, ხოლო ფრიდრიხისა 20 წლის გლადბახელმა მარსელ იანსენმა, ვისაც დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაში უჭირს და იურგენ კლინსმანმაც მარცხნიდან მარჯვნივ გადასწია ფილიპ ლამი.

გერმანელები მეტოქეზე უფრო მხნედ, აგრესიულად გამოიყურებოდნენ, პორტუგალიელები კი დეკუს და კრიშტიანუ რონალდუს სამხრეთული მოქნილობით ასკდებოდნენ ტურნირის მასპინძლებს. ამ ყველაფრიდან აქედან კი პირველ ტაიმში სამი სახიფათო მომენტი გამოდნა — რიკარდუმ კელის და ლუკაშ პოდოლსკის შორეული დარტყმები მოიგერია, პაულეტამ კი ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ აჯობა კანს.

AFP ბერლინიდან

„მიდი, ღორუკავ!" — გერმანელი ქომაგი ხშირად ასე ამხნევებს ხოლმე შვაინშტაიგერს მისი გვარის გამო და ამ მსოფლიო თასის შემდეგ მას ვინძლო სხვა, უკეთესი თიკუნიც გამოუძებნონ. ჯეელი შვაინშტაიგერი ხშირად იშოტებოდა გერმანულ მინდვრებზე, თითქოს დავაჟკაცება აკლიაო, ისე მყარად ვერ იდგა ფეხებზე, როგორც, ვთქვათ, მიხაელ ბალაკი, მაგრამ ისიცაა, რომ 21 წლის ქემნიცელ ბალაკს თითქმის არავინ იცნობდა, „ღორუკა" კი უკვე ქვეყნის იმედია.

პეტიტის ავტოგოლი შვაინშტაიგერის ჩაუქობას, ღონიერ ფლანგურ ჯარიმას მოჰყვა — მან ალბათ განზრახ შეასრულა ასეთნაირად ჯარიმა — ძლიერად მოსხეპილი და არა დამიზნებით ჩაწოდებული ბურთი კარის გასწვრივ.

შორეული დარტყმები ჭკუაში პორტუგალიელებსაც დაუჯდათ, მაგრამ კანი კარში კუნძივით იდგა, ბოჭკოვანი მასალისგან შექმნილი მრგვალი საგანი არ სცდებოდა და ვერაფერსაც აკლებდა. პორტუგალიელთა პრესტიჟის გოლს კი გასაღები მხოლოდ შეცვლაზე შესულმა ნუნუ გომეშმა მოარგო...

„ეს ჩემი ბოლო თამაში იყო ნაკრებში და საამისოდ უკეთეს მატჩს ალბათ ვერც მოვითხოვდი — თქვა ნაკრებში 86-ე მატჩის ჩამტარებელმა კანმა — უნდა იცოდე, როდის წახვიდე".

„ამის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ეს, უბრალოდ, ფანტასტიკურია. უკეთესობისკენ მივდივართ და ეს ჩვენთვის განსაკუთრებული მომენტია. ბიჭებს ვუთხარი, ყველაფერი ჩაეწურათ ამ თამაშში" — ეს უკვე იურგენ კლინსმანის სიტყვებია.

„პორტუგალიას 3:1 რომ მოვუგეთ, ძალიან სასიხარულოა. ეს ამ მსოფლიო თასზე ჩვენი გამოსვლის კარგი დასკვნა იყო. ნახევარფინალში მარცხის შემდეგ შტუტგარტში ასეთ დიდ მხარდაჭერას არ ველოდით და საერთოდ, გულშემატკივრებმა ბოლო ორ დღეში დამატებითი ძალა შეგვმატეს. დამუხტულები ვიყავით მათგან. ახლა უკვე ბრანდენბურგის ჭიშკართან იქნება ერთი ამბავი, რასაც მოუთმენლად ველით" — თქვა კრისტოფ მეცელდერმა.

ბრანდენბურგი ბერლინის მთავარი ადგილია, გერმანიის დედაქალაქის, სადაც ბრინჯაოს მატჩის მეორე დღეს მსოფლიო თასის ფინალი გაიმართა. გერმანიაში კი ფინალამდეც მასლაათობდნენ თავიანთი ნაკრებისა და კლინსმანის მომავალ ურთიერთობაზე.

„კლინსმანის წარმატების გამო მოხარული ვარ, რადგან ვხედავ, რომ იგი გერმანელთა გონებაში კიდევ უფრო გაიზარდა. ეს მისი დიდებული გამარჯვება იყო, კლინსმანი ის პერსონაა, უდიდეს პატივს რომ ვცემ" — განაცხადა პორტუგალიელთა ბრაზილიელმა დამრიგებელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ.

დავით თავართქილაძე

AFP შტუტგარტიდან

AFP შტუტგარტიდან

უთხარით კლინსმანს, სად არის კლინსმანი

ბუნდესნაკრების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა კრიტიკოსების გასაჩუმებლად საკმარისიც გააკეთა და მეტიც — როგორც ირკვევა, გულის სიღრმეში გერმანიის ნაკრებისგან ასეთ გამოსვლას მაინც არ ელოდნენ და, თუ ვინმეს დიდი იმედი ჰქონდა, ალბათ უფრო გერმანელთა მასპინძლობის გამო. მოკლედ, კლინსმანმა კრიტიკოსები გააჩუმა და ის ხალხი, რომელიც ოთხი თვის წინ მის გაგდებას ითხოვდა ახლა ყელს იწელავს — თანამდებობიდან არ გადადგე, ბუნდესმწვრთნელად კიდევ დარჩი.

„ამდენმა და ასე სხვადასხვა მხრიდან წამოსულმა ქებამ გამაოგნა — თქვა კლინსმანმა პორტუგალიის ნაკრების 3:1 დამარცხების შემდეგ — სიტყვებით ამის გამოხატვა მიჭირს. ამაზე მეტი რა უნდა მომხდარიყო, ახლა ყველაფრის გასააზრებლად და დასამშვიდებლად, რამდენიმე დღე მაინც მჭირდება. ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდე, რა მოხდა ჩემს გარშემო“.

შტუტგარტში, სადაც გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილი მოიპოვა, მთელი სტადიონი, 52 ათასი მაყურებელი დაუღალავად სკანდირებდა მის სახელს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ როდი ხდებოდა, რომ შტუტგარტი კლინსმანის მშობლიური ქალაქია.

„მწვრთნელების და ფეხბურთელების თავებს იმდენი რამ დაატყდა ერთად, რომ ჩამოსათვლელადაც კი ძნელია — თქვა 41 წლის ყოფილმა ვარსკვლავმა — ჩვენ თავიდანვე ყველას იმას ვეუბნებოდით, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი ზვავივით იქნებოდა, მაგრამ ამ ზვავის მასშტაბის შესახებ თავად არ გვქონდა წარმოდგენა. დღეს მთელ გერმანიაში, ნებისმიერ ქალაქსა და ნებისმიერ სოფელში ყველა ისე ზეიმობს, როგორც არასდროს. ნამდვილად მჭირდება რამდენიმე დღე. ახლა იმასაც ვერ ვხვდები, წესიერად სად ვარ“.

ბოლო ორი წინადადება გახლდათ აგრეთვე პასუხი კითხვაზე, აპირებს თუ არა ის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე დარჩენას. მოკლედ, აშკარად ჩანს, რომ ჰერ კლინსმანი ნაუცბათევ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

სამაგიეროდ, გულშემატკივარს თავისი გადაწყვეტილება გააცნო მეკარე ოლივერ კანმა. 36 წლის გოლკიპერმა განაცხადა, რომ შაბათის მატჩი პორტუგალიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მის სანაკრებო კარიერაში ბოლო იყო. მოგეხსენებათ, ეს გახლდათ მისი ერთადერთი მატჩი მუნდიალზე, რადგან ბუნდესნაკრების ძირითად მეკარედ იურგენ კლინსმანს იენს ლემანი ჰყავდა გამოცხადებული და წინა ექვს თამაშში სწორედ ლემანი თამაშობდა.

„ეს ჩემი ბოლო სანაკრებო მატჩი იყო — თქვა კანმა — ნაკრებში დიდებული დღეები მაქვს გატარებული, ეს ჩემი ცხოვრების უმშვენიერესი პერიოდი გახლდათ, მაგრამ დასასრული ყველაფერს აქვს და ეს დღე ადამიანმა ზუსტად უნდა ამოიცნოს“.

ოლივერ კანს გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში 86 მატჩი აქვს ნათამაშევი. 2002 წელს ის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი გახლდათ. მაშინდელ ფინალში გერმანიას ბრაზილიამ მოუგო 2:0. იმავე ტურნირზე იგი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მას შემდეგ კი კლინსმანის ხელში, კანის მასშტაბები შეიზღუდა — ჯერ კაპიტნობა ჩამოართვა მიხაელ ბალაკმა, შემდეგ კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ლემანის სათადარიგო გახდა.

„ეს ჩემი კარიერის უძნელესი პერიოდი გახლდათ. ძნელი იყო იმის შეგრძნება, რომ კარგ ფორმაში და ჯანზე ხარ, მაგრამ კარს არ იცავ. კიდევ უფრო ძნელი ასეთ პირობებში თავის გამხნევება და გუნებაგანწყობის შენარჩუნება გახლდათ, თუმცა კაცს მაინც გიფასდება-ხოლმე და ეს დაფასება ჩემთვის დღევანდელი მატჩი გახლდათ“.

პაპუნა კედია

კანიც წავიდა

მისთვის, როგორც გერმანული ფეხბურთის ლეგენდისთვის, იენს ლემანის ჩრდილში ყოფნა, სასიამოვნო ნაღდად არ იყო — ოლივერ კანი ხომ ყველგან და ყველაფერში პირველობასაა დაჩვეული, თუმცა ახლა, სიბერის ჟამს, ოდენ ერთ შეხვედრაში მიანდეს „ნაციონალმანშაფტის“ კარი. პორტუგალიასთან მატჩი 86-ე გახლდათ მის სანაკრებო კარიერაში. აქედან 49-ში კი ბუნდესნაკრებს უკაპიტნა. პოტუგალიასთანაც კაპიტანი გახლდათ, მთლიანად მატჩში კი ერთ-ერთი საუკეთესო...

და, კანი „ნაციონალმანშაფტს“ გამარჯვებით ტოვებს, ღირსეული კაცი ნაკრებიდან ღირსეულად წავიდა.

— ეს მატჩი თქვენთვის პირველი და ბოლო გამოდგა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე. არ გწყინდათ, სათადარიგოებში რომ იჯექით?

— ცხადია, სათადარიგოებში ჯდომას კარში დგომა მირჩევნია, მაგრამ ვცდილობდი, მოვლენებისთვის ფილოსოფიურად შემეხედა. მწვრთნელს ჯიბრში ხომ არ ჩავუდგებოდი. კლინსმანის აზრით, ლემანი უფრო ძლიერი იყო. მხოლოდ ისღა დამრჩენოდა, ვარჯიშებზე მემუშავა და კვალიფიკაციის დამტკიცებას დავლოდებოდი.

— ბუნდესნაკრებიდან წასვლა საბოლოოდ გადაწყვიტეთ?

— დიახ. ახლა ახალგაზრდების დრო მოვიდა. 37 წლის ვარ და ორ ფრონტზე, კლუბსა და ნაკრებში, ერთნაირი წარმატებით საბძოლველად ძალები აღარ მყოფნის. ამიერიდან მთელ ყურადღებას „ბაიერნზე“ გადავიტან.

— ალბათ გულიც გწყდებათ, ეროვნულ გუნდში კარიერას მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლის გარეშე რომ ასრულებთ?

— რა თქმა უნდა. ჩვენ სულ მცირე, ფინალში თამაშს მაინც ვიმსახურებდით, თუმცა, ახლა გვიანია ამაზე ლაპარაკი. მუნდიალზე გერმანიის თამაშით მაინც ძალიან ვამაყობ. პორტუგალიელებთან მატჩი კი ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა ჩემს კარიერაში. ცხოვრებაში ამდენი დადებითი ემოცია არასდროს გამომიცდია.

— რას ფიქრობთ, როცა ნაკრებში ჩატარებულ 86 შეხვედრას იხსენებთ?

— დიდებული დრო იყო. რას აკეთებდი, ბოლომდე მხოლოდ მას შემდეგ აცნობიერებ, როცა მიხვდები, რომ დროის უკან მოტრიალება აღარ შეგიძლია. მინდა, ყველა იმ ადამიანს ვუთხრა მადლობა, ვისთან ერთადაც ამდენი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი. დიდი პატივი იყო ჩემთვის ეროვნული გუნდის წევრობა და ერთ ხანს მისი კაპიტნობა. მგონი, ამ ხნის მანძილზე არცთუ ისე ცუდი მეკარე ვყოფილვარ...

AFP შტუტგარტიდან

AFP

ახალგაზრდა პოდოლსკი და ფიფას 23 საუკეთესოებს დღეს იტყვიან

ფიფამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშედ გერმანიის ნაკრებისა და ახლა უკვე მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი ლუკაშ პოდოლსკი სცნო. იგი გუშინწინ, გერმანია — პორტუგალიის თამაშამდე დააჯილდოვეს სპეციალური პრიზით. შეგახსენებთ, რომ ბავარიული გიგანტის ახალწვეულმა მუნდიალზე სამი გოლი შეაგდო და დიდად შეუწყო ხელი გერმანელთა მიღწევას — მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოსმედალოსნობას.

საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშეს ხმას გულშემატკივრები აძლევდნენ. აქ მარტო ფეხბურთელის ტექნიკურ მონაცემებს კი არ ექცეოდა ყურადღება, არამედ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა თამაშის სტილი, ქარიზმა, ფეირ პლეის წესების დაცვა...

პოლონური წარმოშობის პოდოლსკის კონკურენტები ეკვადორელი ლუის ვალენსია, პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუ, არგენტინელი ლეო მესი, ინგლისელი უეინ რუნი და ესპანელი სესკ ფაბრეგასი იყვნენ.

გარდა ამისა, ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო 23 ფეხბურთელიც დაასახელა, სიაში ფინალისტთაგან რვა იტალიელი და ოთხი ფრანგი მოთამაშეა. ხოლო მუნდიალის სიმბოლურ თერთმეტეულს ფიფა დღეს გამოავლენს, ისევე როგორც დღეს დასახელდება მსოფლიოს. ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი.

ლადო ხომერიკი

მეკარეები: იენს ლემანი (გერმანია), ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია), რიკარდუ (პორტუგალია);

მცველები: ფილიპ ლამი (გერმანია) რობერტო აიალა (არგენტინა), ჯონ ტერი (ინგლისი), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა (ორივე იტალია), რიკარდუ კარვალიუ (პორტუგალია);

ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (გერმანია), ზე რობერტო (ბრაზილია), პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი (ორივე საფრანგეთი), ანდრეა პირლო, ჯენარო გატუზო, ფრანჩესკო ტოტი (სამივე იტალია), ლუიშ ფიგუ, მანიშე (ორივე პორტუგალია);

თავდამსხმელები: მიროსლავ კლოზე (გერმანია), ერნან კრესპო (არგენტინა), ტიერი ანრი (საფრანგეთი), ლუკა ტონი (იტალია)

დიდი ფილი და პატარა კრიშტიანუ

ფიგუ ეუსებიოსთან წაგიდა

პორტუგალია ისტორიაში მეორედ მოხვდა მუნდიალის ოთხეულში, ასე რომ, ფეხბურთელები შინ აწეული თავებით და მაგარი ზურგის შეგრძნებით გაემგზავრნენ — ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, რომელმაც ბოლო სამნახევარი წლის განმავლობაში მათ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია, რჩება.

და რჩება დიდი ეუსებიოსა და მისი ფაობის რეკორდიც — მესამე ადგილი, რომელიც მათ 1966 წელს, ინგლისში ჩატარებულ მუნდიალზე მოიპოვეს.

სამაგიეროდ, მიდის ის, ვის გარეშეც პორტუგალიის ნაკრები ბოლო 15 წლის განმავლობაში წარმოუდგენელი გახლდათ — ლუიშ ფიგუ. გუშინწინ 33 წლის ვარსკვლავი ოფიციალურად დაემშვიდობა სანაკრებო ფეხბურთს. ცნობისთვის: ფიგუ ნაკრებს პირველად ორწლინახევრის წინ გამოეთხოვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და დაბრუნდა.

ლუიშ ფიგუმ პორტუგალიის ეროვნული გუნდის მაისურით 127 მატჩი ჩაატარა და 33 გოლი გაიტანა — პირველად 1991 წელს ლუქსემბურგთან ითამაშა. მაშინ 18 წლისა იყო.

„ძალიან მიჭირს კარიერა წაგებული მატჩით დავასრულო, მაგრამ რა გაეწყობა. გერმანელების წინააღმდეგ რაც ძალი და ღონე მქონდა, ვითამაშე და ასევე მოიქცნენ ჩემი თანაგუნდელებიც. მეამყება ასეთი ძლიერი გუნდის ნაწილი რომ ვიყავი. რთულია დატოვო ის, რაც 15 წლის განმავლობაში შენი იყო, მაგრამ ასეთი დღე ყველას ცხოვრებაში დგება“.

გადავხედოთ უმარტივეს სტატისტიკას, ისეთს, ზედაპირზე რომ

AFP შეუტანარტიდან

სკოლარი ახლა მარტო დასვენებაზე ფიქრობს

ფიგუმ კაპიტნის სამკლავური საბოლოოდ შეიხსნა

დევს და უცბად მივხვდებით, თუ რამხელა ვარსკვლავი შორდება სანაკრებო სარბიელს: ფიგუმ მონაწილეობა მიიღო ევროპის 1996, 2000 და 2004, ხოლო მსოფლიოს 2002 და 2006 წლების ჩემპიონატებში.

და კიდევ, სანაკრებო კარიერა დასრულა ფიგუზე გაცილებით ნაკლები ზომა-წონის, მაგრამ პორტუგალიის მასშტაბით გამორჩეულმა ვარსკვლავმა 33 წლის პედრუ პაულეტამაც. მისი სანაკრებო მონაგარი 87 შეხვედრაში 47 გოლი გახლავთ.

ფელიპაომ, იმავე დიდმა ფილმა და იმავე ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელმაც ამ გაზაფხულზე ინგლისელთა მრავალმილიონიან კონტრაქტზე თქვა უარი, ითხოვა, რამდენიმე დღე ამომასუნთქეთო.

„ახლა, ერთადერთი რამ მინდა, მზე, ბერმუდა, შორტები და ქვიშა, მდიდრულ კონტრაქტზე კი ნამდვილად არ ვფიქრობ. გარეშეებთან ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებული შემოთავაზებები რომ გაჩვენოთ, მეტყვით, უზარმაზარი ფული დაგიკარგავსო“ — უთხრა დიდმა ფილმა ჟურნალისტებს.

და, კიდევ ერთი შთაბეჭდილება, რომელიც პორტუგალიის ნაკრებმა მუნდიალის მაყურებელ მსოფლიოს დაუტოვა, კრიშტიანუ რონალდუს ფეხბურთი და ქცევაა. თავი დავანებოთ იმას, რომ ჰოლანდიასთან მერვედფინალური მატჩის შემდეგ სკოლარის გუნდს ბევრმა უხეში და შარიანი უწოდა, რადგან მასზე მეტად რონალდუმ მიიპყრო ყურადღება.

კრიტიკის პირველი ტალღა რონალდუს ინგლისის ნაკრებთან შეხვედრის შემდეგ დაატყდა თავს, მას მერე, რაც მსაჯ ორასიო ელიზონდოს მივარდა და თავისი მანჩესტერელი თანაკლუბელის, უეინ რუნის გაძევება სთხოვა. შემდეგ კი იყო ნახევარფინალი საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ, სადაც ახალგაზრდა გარემარბი მალიმალ წვებოდა მოედანზე ტყუილუბრალოდ, რათა მსაჯისთვის ჯარიმა ან პენალტი დაეტყუა. იმავე შეხვედრაში მას ტრიბუნებიდან ბევრი სტვენის მოსმენა მოუხდა, სავარაუდოდ, გერმანიას შემორჩენილი ინგლისელი ქომაგებისგან.

ბოლო ცნობების თანახმად, სწრაფ და დაჟინებულ თავდამსხმელს კლუბის გამოცვლა საბოლოოდ მოუწევს — ის „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშს აღარ აპირებს.

პაპუნა კედია

ერთი კვირაც და...

ტორესი ოლდ ტრეფორდზე ჩავიო

„მანჩესტერ იუნაიტედი“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ ფერნანდო ტორესის თაობაზე მოლაპარაკებას რამდენიმე დღეში დაიწყებს. ბრიტანული „ტაიმსის“ ცნობით, „იუნაიტედს“ ტორესი რუუდ ვან ნისტელროის შემცვლელად უნდა — გადაწყვეტილი ამბავია, ჰოლანდიელი „ოლდ ტრეფორდს“ მალე დატოვებს.

„ატლეტიკო“ თავის საუკეთესო ფეხბურთელს თავგამოდებით კი ებღაუჭება, მაგრამ „მანჩესტერი“ ტორესში 25 მილიონ გირვანქას (36 მილონი დოლარი) იხდის, რამაც, მადრიდული კლუბის უფროსობას შესაძლოა, აზრი შეაცვლევინოს.

„ფერნანდო ტორესმა მუნდიალზე სამი გოლი გაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის ნაკრებმა ძალიან ადრე დატოვა ტურნირი, „ელ ნინიოს“ „აქციები“ სულაც არ დაცემულა სერ ალექს ფერგიუსონის თვალში. „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ატლეტიკოს“ შორის სატრანსფერო მოლაპარაკების შედეგს, სავარაუდოდ, ერთ კვირაში გავიგებთ“ — წერს „ტაიმსი“.

ინგლისში გადაბარგებაზე უარს არც თავად „ელ ნინიო“ ამბობს: „იმ შემთხვევაში, თუ „ატლეტიკოს“ და, საერთოდ, ესპანურ პრიმერადივიზიონს დავტოვებ, სათამაშოდ „ოლდ ტრეფორდს“ ვარჩევდი“ — განუცხადა ტორესმა ჟურნალისტებს.

ლადო ხომერიკი

უეინ რუნი

ფიფამ საქმე გაარჩია

მოჩხუბრებს თამაშები და საფულეები შეუთხელდებათ

ფიფამ გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალური მატჩის ბოლოს სტადიონზე დებოშის მომწყობი არგენტინელი ფეხბურთელები დასაჯა — მცველ ლეანდრო კუფრეს და ნახევარმცველ მაქსი როდრიგესს შესაბამისად, ოთხი და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა. დაისაჯა აგრეთვე პორტუგალიასთან ფეხის ავად მქნეველი უეინ რუნიც — ინგლისელს ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

სადისციპლინო კომიტეტმა არგენტინელებს ფულადი ჯარიმებიც დააკისრა: ლეანდრო კუფრე 10 ათას შვეიცარიულ ფრანკს (8 170 დოლარი) გადაიხდის, ხოლო როდრიგესი 5 ათას ფრანკს (4 085 დოლარი).

გერმანიის ნაკრებიდან დისკვალიფიკაცია ტორსტენ ფრინგსსაც ემუქრებოდა, მაგრამ გეხსომებათ, მან სასჯელი უკვე მოიხადა, იტალიასთან ნახევარფინალი გამოატოვებინეს.

. უეინ რუნის კი 5 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა დააკისრეს.

ლადო ხომერიკი

თმის გადანერგვის კლინიკა
«ჰეალაინ ინტერნეიშნლ»
ხელმძღვანელი ჰრეთ. თამაზ თამაზაშვილი
უყურე ფეხბურთს ჩვენთან ერთად დაშედეგით კმაყოფილი დარჩები
• უფასო კონსულტაცია, კონფიდენციალობა
• გარანტირებული შედეგები
• უახლესი აფრაგმაფული ამერიკული ტექნოლოგიები
HAIRLINE International
მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერთიფიცირებული
ერთადერთი კლინიკა ამერიკა-კავკასიაში
ქავთარაძის 16 (სამეუჩნაღო ტომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

მოგვასმენინეთ 99 960

დასასჯელები აუცილებლად დასაჯეთ

ლიგაში რომამ უნდა ითამაშოს

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და კალჩოპოლის სკანდალი — თითქოს რა კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან სამართალი და ფეხბურთი, მერე რა, თუ ძლიერი ხარ ბურთის თამაშში, წესის დარღვევა წესის დარღვევაა, არა? მთავარი დამნაშავე „იუვენტუსია" და სერია B-ში გაგდება არ ვაკმაროთ, სერია C-ში მოვისროლოთო, მოითხოვა ბრალმდებელმა და, ერთი მხრივ, ალბათ, მართალიც ბრძანდებოდა, მაგრამ „ბებერი ქალბატონის" ქომაგებს თავიანთი გულწრფელი კონტრარგუმენტი აღმოაჩნდათ:

„მათ „იუვეს" დასჯა სხვებზე მეტად იმიტომ უნდათ, რომ „იუვე" „იუვეა", მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, იტალიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობაში, სულ მცირე, ოთხი იუვენტუსელი გამოვა. ამას, თუ ვნებავთ, დაამატეთ, რომ სულ მცირე, ორი იქნება საფრანგეთის ნაკრების ძირითადში და აი, ამ გუნდის დაქვეითებაზეა ლაპარაკი?" — ასეთი ემოციური გახლდათ „იუვენტუსის"... ნეაპოლური ფან-კლუბის, უფრო სწორად, ნეაპოლურიც არა, პატარა დაბა ბენევენტოში მდებარე ფან-კლუბის პრეზიდენტის, მავანი ენცო კატალანოს რეაქცია.

ამხელა სკანდალისადმი მიძღვნილ წერილში კი უცნობი ადამიანის მოსაზრება იმიტომ მოგიტანეთ, რომ საკუთრივ „იუვენტუსია" „უცნობი ადამიანების", ხალხის გუნდი. მოგეხსენებათ, „ბებერ ქალბატონს" მხოლოდ ტურინში არ უჭერენ მხარს, იგი მთელ იტალიაში უყვართ (ბუნებრივია, უამრავი გულშემატკივარი ჰყავს იტალიის გარეთაც) და, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, იტალიაში მის ქომაგთა რაოდენობა სხვა გუნდების ქომაგთა რაოდენობას აღემატება.

და ამიტომ, სანამ ცნობილ და გავლენიან ადამიანებზე გადავალთ, კიდევ ერთ „უცნობს" მოვუსმინოთ:

„ჩვენ, იტალიელები განსხვავებული ხალხი ვართ. ეჭვი არ მეპარება მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გამარჯვების შემთხვევაში ტრიბუნალი „იუვეს" სერია B-ზე დაბლა არ გაუშვებს".

ეს, მეორე „უცნობი" სადღაც მართალია — 1982 წელს, როდესაც იტალიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა ენცო ბეარზოტმა ესპანეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე პაოლო როსი წაიყვანა, საზოგადოებაში ერთი ამბავი ატყდა, რადგან როსი კორუფციულ სკანდალში მონაწილეობის გამო ახალი დასჯილი იყო და მეტიც, ბეარზოტის გამო მას დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირეს. მაგრამ, გავიდა ერთი თვე და როსი სამშობლოს ეროვნულ გმირად დაუბრუნდა.

ახლა კი „დავსერიოზულდეთ" — რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" გამართულ სასამართლო პროცესზე „იუვენტუსის" ერთ-ერთმა ვექილმა, პაოლო ტროფინომ განაცხადა:

„მთელი ძიება ეყრდნობა სატელეფონო საუბრებს. ამოღებულია დაახლოებით ორმოცი საუბრის ჩანაწერი, რომელმაც ძიებასა და ბრალდებას ეჭვი გაუჩინა, მაგრამ ჩვენამდე არ მოსულა დანარჩენი 99 960 საუბრის შინაარსი და ამიტომ პროცესი უნდა შეწყდეს, სანამ ყველა ჩანაწერს არ გავეცნობით და არ დავრწმუნდებით, რომ ეჭვს მხოლოდ ეს 40 იწვევს".

შემდეგ კი ბატონმა ვექილმა ზემოხსენებული გულშემატკივრების მსგავსად ემოციურ არგუმენტებს მიმართა:

„როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის სანახავად ტელევიზორებს მიუსხდებით, ნახავთ, რომ მოთამაშეთა მესამედზე მეტი ბატონების, მოჯისა და ჯირუდოს დაქირავებული მუშა ხელი იქნება. ნახავთ იტალიის ნაკრების მწვრთნელ მარჩელო ლიპისაც, რომელიც ასევე „იუვენტუსს" ედგა სათავეში და ვფიქრობ, ამის შემყურეთ სამშობლოს წინაშე ღვაწლისთვის ეს ორი ადამიანი კი არ უნდა დავსაჯოთ, უნდა წავახალისოთ და მადლობა ვუთხრათ მათ".

ლუჩანო მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს ვინაობას კი, აქ აღარ შეგახსენებთ, ვინაიდან „იუვენტუსის" ამ ორი დიდმოხელის და მათი სატელეფონო საუბრების შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია.

ვადები — აი, კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც კალჩოპოლის სასამართლოს სდევს თან. წესით და რიგით, ტრიბუნალმა „იუვენტუსს", „მილანს", „ლაციოს", „ფიორენტინას"და საქმეში გასულ 26 პიროვნებას დღეს უნდა გამოუტანოს სასჯელი, მაგრამ ეს დიდ შეშფოთებას და აღშფოთებას იწვევს.

ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ჩინოსნის, ინოჩენცო მაძინის ვექილმა, მარკო როკმ მაგალითად, ტრიბუნალის ხელმძღვანელს, ჩეზარე რუპერტოს ამ სიტყვებით მიმართა:

„ბევრი ხალხი კითხულობს, როგორ შეგიძლიათ თქვენ, იტალიის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილ პრეზიდენტს, განაჩენი გამოიტანოთ მაშინ, როდესაც დაცვას დრო და საშუალება შეზღუდული აქვს".

ანტონიო ჯირაუდო და ლუჩანო მოჯი

ეს პრეტენზია, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბევრმა გამოთქვა, რამაც მოსამართლე რუპერტო საკმაოდ გააღიზიანა.

„ეს სპორტული საამართლოა, მას თავისი სპეციფიკა აქვს, ხოლო დაცვას არავინ ზღუდავს" — მოჭრა მან პასუხად.

ან კი, რა ქნას ბატონმა რუპერტომ, როდესაც უეფამ კატეგორიული ვადა დათქვა — 27 ივლისს საქმის გარჩევა თავისი აპელაციებით უნდა დასრულდეს, რადგან ევროპაში ჩემპიონთა ლიგა და უეფას თასია ჩასატარებელი.

როგორც „სარბიელის" მკითხველისთვის არის ცნობილი, ორიოდ დღის წინ იტალიის იუსტიციის მინისტრმა კლემენტე მასტელამ ტრიბუნალს განასჯელთა ამნისტია სთხოვა, მუნდიალზე ასე გამოჩენილ ფეხბურთელებს სერია C-ში რა უნდათო, რასაც სპორტის მინისტრმა ჯოვანა მელანდრიმ მოკლედ და კონკრეტულად სისულელე უწოდა.

და ბოლოს, „რომა" ხელებს იფშვნეტს — სერია A-ში მეხუთე ადგილზე გასულის შეფებს ცმუკვა დაეტყოთ — ჩემიონთა ლიგაზე ჩვენ მოგვიწევს გასვლაო.

პაპუნა კედია

ტურინის „იუვენტუსსა" და ფლორენციის „ფიორენტინას" შორის მოსალოდნელი გაცვლა შედგა. ვალერი ბოჟინოვი „დელე ალპი"ზე „გადაბარგდა, ხოლო ადრიან მუტუ — „არტემიო ფრანკი"ზე". პარალელულად, სანამ „იუვენტუსი" „კალჩოპოლის" გადაწყვეტილებას ელის და სერია B-ში ან სერია C-ში დაქვეითება ემუქრება, მის ვარსკვლავებს სხვადასხვა კლუბებს უკავშირებენ. ამჯერად „იუვედან" ლილიან ტურამის, ფაბიო კანავაროსა და ჯანლუიჯი ბუფონის წასვლაზეა საუბარი. აქვე შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერის" მუნდიალის ფინალში ორივე ნაკრებიდან ყველაზე მეტი, რვა წარმომადგენელი ჰყავდა

იუვენტუსში ამბებია...

ზოგი მიდის, ზოგი რჩება, ბოჟინოვი ტურინშია

„იუვენტუსსა" და „ფიორენტინას" შორის მიღწეული შეთანხმების ფინანსური მხარე გასაიდუმლოებულია. ცნობილია, რომ ბოჟინოვი „დელე ალპიზე" არენდის წესით ითამაშებს და მომავალი სეზონის ბოლოს ტურინელებს მისი კონტრაქტის სანახევროდ ან მთლიანად გამოსყიდვა შეეძლებათ.

ახალგაზრდა ბულგარელი ფორვარდის დებიუტი სერია A-ში 2002 წლის 27 იანვარს შედგა, როდესაც მისმა ყოფილმა კლუბმა „ლეჩემ" „ბრეშას" 3:1 მოუგო. მაშინ ბოჟინოვი ოდენ 15 წლის იყო. ეს იტალიის რეკორდია. 2005 წლის იანვარში იგი „ფიორენტინაში" გადავიდა, მაგრამ მოლოდინი ვერ გაამართლა, 36 მატჩში მხოლოდ 8 გოლი გაიტანა.

რაც შეეხება მუტუს, რუმინელი თავის ყოფილ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის დაუბრუნდა, რომელთან ერთადაც „პარმაში" მუშაობდა და მასთან კარგი ურთიერთობა აქვს. „ფიორენტინაში" ისიც არენდის წესით ითამაშებს, მომავალში გამოსყიდვის პერსპექტივით.

„მე თავადაც არ ვიცი, დავრჩები თუ არა „იუვენტუსში". ამიტომ ამ საკითხზე სხვებთან დისკუსია ახლა ნამდვილად არ მინდა. როცა რამე გაირკვევა, ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ერთადერთი, რაც ახლა შემიძლია ვთქვა, ბედნიერი ვარ, რომ ამჟამინდელი „სკუადრა აძურას" წევრი გახლავართ — ეს იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის" მეკარის, ჯანლუიჯი ბუფონის სიტყვებია.

როგორც იცით, „იუვენტუსის" ყოფილმა მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ ახლახან „რეალი" ჩაიბარა, სპორტულ დირექტორად კი ასევე იტალიელი და „რომას" ყოფილი ტრანსფერების გურუ, ფრანკო ბალდინი, ჰყავს, რომელიც ახლა იტალიაშია და ეცდება, დონ ფაბიოს მისი „ოცნების გუნდის" შექმნაში დაეხმაროს. ამისთვის კი კაპელოს ბუფონის გარდა, ტურინელთა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი სჭირდება — ფაბიო კანავარო, ჯანლუკა ძამბროტა და ემერსონი. თუმცა კანავარომ, ალესანდრო დელ პიეროსთან ერთად აღნიშნა, „იუვენტუსი" სადაც უნდა გაგდონ, გუნდში დავრჩებიო. ესპანური პრესის ცნობით, გამორიცხული არ არის, ტურინელებმა დაქვეითების შემთხვევაში, ეს ფეხბურთელები კი არ მიჰყიდონ, არამედ ათხოვონ „სამეფო გუნდს".

„ბებერი ქალბატონის" კიდევ ერთ ლიდერს, ლილიან ტურამს, მეორე ესპანურმა გრანდმა, „ბარსელონამ" დაადგა თვალი. ამბობენ, კატალონიელებს 34 წლის ფრანგისთვის ორწლიანი კონტრაქტი აქვთ მზად და უახლოეს დღეებში წარმომადგენლებს ტურინში გაუშვებენ მოსალაპარაკებლადო.

გიორგი კაკაბაძე



AFP ფოტოგრაფიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ფოტოგრაფიდან

8 ივლისის შტუტგარტული საღამო იურგენ კლინსმანისა იყო. ლუიშ ფელიპე სკოლარის და მის პორტუგალიას 3:1 მოუგო და მერე მისგანაც და კიდევ მრავალი ცნობილი პერსონისგან გულღია მილოცვაც მიიღო. ქვევით ფრაუ ანგელა მერკელის, ვერ გაიგებ, სიხარულით, გაოცებით თუ რა გრძნობით მოქცეულ სახეს ვუჭვრეტთ. ტრიბუნაზე იყვნენ იურგენის მეუღლე, დები და დიეგო ცოლითურთ. მხოლოდ მესამე ადგილის მოპოვების მიუხედავადაც, კლინსმანი ლამის გერმანიის გმირად გამოაცხადეს. ჩათქვირული გოგონები და ლუდიყლაპია ბიჭები პლაკატ-წარწერებით ეუბნებიან — მადლობა კლინსი, ჩვენ შენით ვამაყობთ, დარჩი ჩვენთან და 1954, 74 და 90 წლებში მონაგრებულ სამ მსოფლიო თასს 2010-ში მეოთხეც მიამატეო.

AFP ფოტოგრაფიდან

AFP ფოტოგრაფიდან

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		10 ივლისი						
16:00	1	ცსკა-როსტოვი	1.15	5.80	12.00	1.00	1.04	3.91
		11 ივლისი						
16:00	2	ლოკომოტივი-დინამო	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
16:00	3	მოსკოვი-ზენიტი	2.45	2.90	2.80	1.32	1.30	1.42
		12 ივლისი						
16:00	4	კრილია-ამკარი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
16:00	5	რუბინი-ტორპედო	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
16:00	6	სპარტაკი-შინიკი	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
16:00	7	ნალჩიკი-ტომსკი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
16:00	8	ენერგია-სატურნი	2.20	2.70	3.60	1.21	1.36	1.54
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 ივლისი						
21:00	20	ლილსტრომი-ვერლანდი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		16 ივლისი						
20:00	22	როსენბორგი-ფრედრიქსტადი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	23	სანდეფიორდი-მოლდე	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
20:00	24	სტაბეკი-ჰამარი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
22:00	25	ტრომსიო-ვოლერენგა	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივლისი						
21:00	26	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		შვედეთი						
		ალსვენსკა						
		15 ივლისი						
18:00	35	მალმიო-აიკ	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		16 ივლისი						
19:00	36	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
19:00	37	ჰალმსტადი-ვიოტებორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
		17 ივლისი						
21:00	38	ჰამარბი-იოსტერსი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
22:00	39	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		შვედეთი. სუპერეტა						
		10 ივლისი						
21:00	40	ფალკენბერგი-სუნდსვალი	2.20	3.30	2.90	1.32	1.25	1.54
21:00	41	ლიუნგსკილე-ლანდსკრონა	2.60	3.30	2.40	1.45	1.24	1.38
21:00	42	ნორჩიოპინგი-ტრელებორგი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
21:00	43	იორებრო-იონკოპინგი	1.35	4.50	7.00	1.03	1.13	2.73
21:00	44	ქვიდინგი-ვესბი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ინტერტოტოს თასი 2006

რიდმა დინამო გვერდზე გადადო

ბრძოლა იყო, თამაში არა

გიორგი დოლიძეს ფოტო

თბილისი. 9 ივლისი. 19 საათი. მიხეილ მესხი. 5500 (ტევადობა 25600)

დინამო 0:1 რიდი

0:1 დრეშლერი (67)

დინამო: გრიშიკაშვილი, ამბროზიო, შ. კაშია, თომაშვილი, ნავალოვსკი (ბობოხიძე 62), გრიგალაშვილი (ზ. ჯანაშია 69), ხმალაძე (ჩირიკაშვილი 52), ხუციშვილი, კობახიძე, იაშვილი, დვალი *სათადარიგონი:* ლორია; გ. კაშია, ნერგაძე, მერებაშვილი მწვრთნელი: კახა კაჭარავა	**რიდი:** ჰ. ბერგერი, იანკი, დახაკი, კლასნერი, ედერი, მარტინესი, ბრაუნმაიერი (კასტნერი 63), სეო (მ. ბერგერი 81), დრეშლერი, ბრენერი, სულიმანი (მელემი 46) *სათადარიგონი:* გებაუერი; ვოლფი, ცესევიჩი მწვრთნელი: ჰელმუტ კრაფტი

გაფრთხილება: ბრენერი (14), ნავალოვსკი (37), ჩირიკაშვილი (57), კაშია (85)

მსაჯები: მ. ვითბი; მ. უილიამსი, ა. ბური (უელსი); ვ. ელისაბედაშვილი (საქართველო)

უეფას დელეგატი: ბ. მაკრეი (უნგრეთი); **დამკვირვებელი:** ს. ზუევი (რუსეთი)

კობა ინასარიძე

გუშინდელი მატჩის წინ თბილისის „დინამოს“ განწყობაზე ძალიან ოპტიმისტური ითქმოდა. ფეხბურთელებით დაწყებული, ხელმძღვანელობით დამთავრებული, ყველა თითქმის ერთს ამბობდა — არ არის ავსტრიული „რიდი“ ის გუნდი, რომელთანაც ორბურთიანი სხვაობის გაბათილება არ შეიძლებოდეს, მთავარია, სტადიონზე ხალხი მოვიდეს და გვიქომაგონო. ოპტიმიზმი თავისთავად ძალიან საჭიროა, მაგრამ...

ახლა პირდაპირ საქმეზე გადავალ და გეტყვით, რომ მთელი წინა სეზონის მანძილზე „დინამოს“ ისეთი ქომაგობა არც ერთი მატჩისას არ ჰქონია, როგორიც გუშინ. იყო გულიანი მხარდაჭერა და ეპიზოდურად ეშხიანი თამაშიც, მაგრამ „მიხეილ მესხზე“ ის ნამდვილად ვერ ვნახეთ, რასაც ველოდით და რისიც გვეიმედებოდა.

ამ საშინაო მარცხისა და ინტერტოტოს მეორე ეტაპიდან გავარდნის შემდეგ „დინამოს“ გასამართლებლად შეიძლება ითქვას, რომ... „დინამო“ ახალგაზრდული გუნდია; „დინამოს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს; „დინამო“, ფაქტობრივად, ხელახლა ჩამოყალიბდა; „დინამო“ ჯერ კიდევ ახალი სეზონისთვის ემზადება; „დინამოს“ „რიდთან“ ცენტრალური მცველი დავით გიგაური აკლდა... მოკლედ, მიზეზებს რა გამოლევს... სამწუხარო და საწყენი კი ისაა, რომ „რიდთან“ მატჩისას „დინამოს“ ისეთი არაფერი უჩვენებია, ტრიბუნაზე მყოფთათვის რაიმე საიმედო ყოფილიყო. მატჩამდე დინამოელები ამბობდნენ, ავსტრიული „რიდი“ საშუალო ევროპულზე დაბალი დონის გუნდია, სტუმრად კი ისევ ჩვენი შეცდომებით წავაგეთო... გუშინ ცხადად ჩანდა, რომ ავსტრიელები მართლაც საშუალოზე დაბალი დონისანი არიან. მაგალითად, მათ შეუძლიათ, უფრო სწორად მათ ნახევარმცველ სებასტიან მარტინესს შეუძლია, ბურთი ცარიელ კარს ორი მეტრიდან დაახლოებით ხუთი მეტრით ააცილოს, მაგრამ ამით ჩვენებს რა ხეირი, ძალთა თანაფარდობას ანგარიში ასახავს და, ვფიქრობ, ეს ანგარიში ლოგიკურიც არის.

ერთადერთი, რაც „დინამოს“ ამ მართლაც ახალგაზრდული გუნდის სანაქებოდ შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ყველა ფეხბურთელი, ვინც კი ითამაშა, იბრძოდა, თავი არავის დაუზოგავს, დინამოელები მოედანზე დაგეშილებივით იყვნენ და ეს თავისთავად ძალიან სასიამოვნოა. მათ ერთ-ორჯერ ნაღდი საგოლე მომენტიც ჰქონდათ და დარტყმები რომ მიზანში წასულიყო, ვერავინ იტყვის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა, თუმცა ერთიც ძალიან კარგად გამოჩნდა — „დინამოს“ არ ჰყავს ისეთი ფეხბურთელი, ვინც გუნდს გაუძღვება, არავინაა ლიდერი და არ არის კლასი... „დინამოში“ არაა თუნდაც ისეთი დონის ფეხბურთელი, როგორიც „რიდის“ შუა ხაზის ლიდერი ჰერვიგ დრეშლერია, გუშინდელ მატჩში ერთადერთი გოლის გამტანი და გუნდის წინამძღოლი. მართალია, ის გოლიც „დინამომ“, ცოტა არ იყოს, მოულოდნელად გაუშვა, დრეშლერმა დაახლოებით 30 მეტრიდან დაარტყა, მაგრამ მაინც: ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ „რიდი“ გოლს თუ ვერ გაიტანდა, შემდეგ ეტაპზე მაინც ეს გუნდი გავიდოდა — მათ გოლამდეც და შემდეგაც ოთხი-ხუთი ნაღდი მომენტი ჰქონდათ და თანაც უფრო თავდაჯერებულები და საქმის მცოდნენი ჩანდნენ...

„დინამო“ წლევანდელ ევროსარბიელს ამით დამშვიდობა, საგაისოდ კი იმის იმედი თუ გვექნება, რომ ფეხბურთელებიც უფრო დაღვინდებიან, ხელმძღვანელობაც მეტ გამოცდილებას შეიძენს, ეგებ უფრო ღონიერი ინვესტორიც გამოჩნდეს და... ახლა „დინამოს“ ეროვნულ ჩემპიონატში ვნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

ევალდ ბრენერი და სანდრო კობახიძე

გიორგი დოლიძეს ფოტო

სანდრო იაშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ...

სახიფათო ეპიზოდი „რიდის“ კართან უხიფათო გამოდგა

ინტერტოტოს თასი

II ეტაპი. საპასუხო მატჩები

8 ივლისი

კალმარი (შვედეთი) 3:2 **ტამპერე** (ფინეთი) (2:1)
ეთნიკოსი აშნა (კვიპროსი) 0:0 **ოსიეკი** (ხორვატია) (2:2)
დინაბურგი (ლატვია) 0:3 *ჰიბერნიანი* (შოტლანდია) (0:5)
დნიპრო (უკრაინა) 2:0 **ნიტრა** (სლოვაკეთი) (1:2)
ლეხი (პოლონეთი) 1:3 *ტირასპოლი* (მოლდოვა) (0:1)
მარიბორი (სლოვენია) 2:1 **ზეტა** (სერბეთი) (2:0)
ქაისერისფორი (თურქეთი) 1:0 **შოპრონი** (უნგრეთი) (3:3)
ზრინსკი (ბოსნია) 1:3 *მაკაბი* (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) (1:1)
ლოკომოტივი (ბულგარეთი) 1:1 *ფარული* (რუმინეთი) (1:2)

9 ივლისი

შელბურნი (ირლანდია) 1:0 *ოდენსე* (დანია) (0:3)
კეფლავიკი (ისლანდია) 2:2 *ლილესტრიომი* (ნორვეგია) (1:4)
მტზ-რიპო (ბელარუსი) 0:1 *მოსკვა* (რუსეთი) (0:2)
ტეპლიცე (ჩეხეთი) 0:2 *გრასჰოპერი* (შვეიცარია) (0:2)

ლევანტეს შოთა უნდა

მეორე ცდა: უკვე შედგენილი კონტრაქტი

ესპანურ პრიმერადივიზიონში ახლადდაბრუნებული ვალენსიის „ლევანტე“ 33 წლის შოთა არველაძეს ეპატიჟება. თუ ესპანურ გაზეთ AS-ს ვერწმუნებით, ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია.

„ლევანტეს“ არველაძე ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა ის „რეინჯერსში“ თამაშობდა. მაშინ „ლევანტეს“ გურმანელი ბერნდ შუსტერი წვრთნიდა და გუნდი პრიმერადივიზიონიდან არგავარდნისთვის იბრძოდა. შესაძლოა, არველაძემ ამიტომაც იუარა შარშან „ლევანტეში“ გადასვლა.

აწ დასრულებულ სეზონში „ლევანტე“ სეგუნდადივიზიონში მესამე ადგილზე გავიდა და რახან ისევ აღზევდა პრიმერაში, ახალ და უფრო სახელიან მწვრთნელსაც უხმო — ხუან რამონ ლოპეს კარო ბოლოს თვით მადრიდის „რეალს“ წვრთნიდა — როცა შარშან დეკემბერში „რეალიდან“ ვანდერლეი ლუშემბურგო გაუშვეს, გუნდი კარომ ჩაიბარა და მისი ხელმძღვანელობით „რეალი“ ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა.

„ლევანტე“ არველაძის გარდა სხვა ფეხბურთელებითაც აპირებს გაძლიერებას. მაგალითად, „ნიუკასლიდან“ ფრანგი ლორან რობერის გადმობირებას ეშურება.

და რას ფიქრობს „ლევანტეს“ შეთავაზებაზე ჯერაც ალკმაარელთა მეგოლე არველაძე? ის ტბილისიდან გუშინ ჩავიდა ამსტერდამში და იქ შეევხმიანეთ. ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ არველაძეს კონტრაქტი „ალკმაართან“ კიდევ ერთი წლით აკავშირებს.

— ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ „ლევანტეს“ მართლაც უნდა ჩემი აყვანა და ჩემს აგენტ ივან ბენეშს უკვე გაუგზავნა ჩემთვის შედგენილი ორწლიანი კონტრაქტი.

— რამდენად მომხიბვლელია შენთვის „ლევანტეს“ შემოთავაზებული კონტრაქტის პირობები?

— ორწლიანი კონტრაქტით ესპანურ პრიმერადივიზიონში თამაში თავისთავად მომხიბვლელია.

— ეს იმას ნიშნავს, რომ „ლევანტეში“ გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი გაქვს?

— გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია. ამსტერდამში დღეს ჩამოვედი და „ალკმაარის“ ხელმძღვანელობას ხვალ შევხვდები. სანამ „ალკმაარის“ თავკაც ლუის ვან გაალს საფუძვლიანად არ დაველაპარაკები, ვერაფერს გადავწყვეტ.

დავით თავართქილაძე

ცქიტიშვილი ათენშია

გერმანიიდან გერმანელთან

ბუნდესლიგურ „ვოლფსბურგს“ განშორებული 29 წლის ლევან ცქიტიშვილი გუშინ ათენში ჩავიდა და იქაურ „პანიონიოსთან“ მოლაპარაკებას შეუდგა — გვამცნო ბერძნულ გაზეთ „სპორტაიმის“ ჟურნალისტმა ლარი სუსკასმა.

„პანიონიოსი“ საშუალო გაქანების გუნდია, რომელიც საბერძნეთის წინა ჩემპიონატში მე-11 ადგილზე გავიდა. გუნდს ახალი სეზონისთვის გერმანელი სპეციალისტი ევალდ ლინენი წვრთნის და „პანიონიოსში“ ცქიტიშვილის მიწვევის იდეაც ვინჭლო მისგან მოდიოდეს.

ცქიტიშვილს, ვისაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში 38 მატჩში ერთი გოლი გაუტანია, გუშინ „პანიონიოსში“ სამედიცინო შემოწმებაც უნდა გაევლო.

დავით თავართქილაძე

კობი-გარემარბი, კობი-გოლი

ამ უქმეებზე ბლომად ქართველმა ლეგიონერმა ითამაშა ტესტ-მატჩებში და რამდენიმე გოლიც გაჩარხეს. დავიწყოთ ლევან კობიაშვილით, ვისმა „შალკემაც“ სეზონისწინა პირველი შეხვედრა გამართა და ობერლიგელ „პილდშტადტს“ 3:1 სძლია.

კობიმ 90 წუთი გაატარა მინდორზე. საინტერესოა, რომ „ხუმარათა“ თავკაცმა, მირკო სლომკამ, ჩვენიანი მარცხენა გარემარბად გააშწესა. კობიაშვილი და თურქი ალტინტოპი უკნიდან ეხმარებოდნენ წინწაწეულ კურანის. ლევანი გარემარბად რალფ რანგნიკის მწვრთნელობის დროსაც თამაშობდა, სლომკას ხელში კი ამ პოზიციაზე პირველად იბურთავა და... გოლიც შეაგდო, თან როგორი — 77-ე წუთზე, როცა ანგარიში 1:1 იყო, კობიაშვილმა 22 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა მეტოქე.

დავით სირაძის აუე კი დაბალლიგელ გუნდებთან სეირნობს. ერცგებირგელებმა ჯერ „ბაიენჰოფს“ 7:0, შემდეგ კი „გრიუნვაისს“ 29:1 გადაურბინეს. პირველ მატჩში ვერა, მაგრამ „გრიუნვაისთან“ კი ლაღობდა სირაძე და 5 ბურთიც გაიტანა. დავითმა ორივე შეხვედრაში უკანდაწეულ ფორვარდად ითამაშა.

შვეიცარიაში გადავინაცვლოთ და მიხეილ ყაველაშვილზე ვთქვათ, რომელიც, ისეთი პირი უჩანს, „ბაზელის“ ძირითადის მოთამაშე იქნება მომავალ სეზონში. „ყაველამ“ წინა ტესტ-მატჩის დარად, კვლავაც სრულად ითამაშა დონეცკის „შახტართან“ — 0:0.

რომ ტრავმისგან განკურნებული გოგა გახოკიძეც იბრუნებს ადგილს „ტვენტეს“ თერთმეტეულში. ქართველმა მარცხენაფლანგელმა 62 წუთი ითამაშა გერმანიის მეორე-ბუნდესლიგელ „ოსნაბრუკთან“ და ერთ-ერთი საუკეთესოც იყო თავისიანებში, თუმცა „ტვენტემ“ 1:2 წაგო და გოგას მოედანზე ყოფნისას მის გუნდს გოლი არ შეუგდია.

უკრაინაში ქართველთა საკონტროლო მატჩებს რა გამოლევს და კიევის „დინამოთი“ დავიწყოთ, რომელმაც ავსტრიულ შეკრებაზე რუმინულ „კლუჟს“ 3:2 აჯობა. ოთარ მარცვალაძემ ბოლო 17, ხოლო დავით იმედაშვილმა კი ბოლო 10 წუთი ითამაშეს. ჩვენიანების გამოსვლისას ანგარიში უკვე 3:2 იყო.

კვლავ ვერ მოუსინჯა გოლს გემო გიორგი დემეტრაძემ, ვისმა „მეტალურგმაც“ ლუქსემბურგის „ეტცელას“ 2:0 მოუგო. ქართველმა ფორვარდმა პირველი ტაიმი ითამაშა.

აი, ხარკოვის „მეტალისტმა“ კი „ილიჩევეცს“ რომ 1:0 სძლია, არც ხარკოველ ჯაკობიას უთამაშია და არც ილიჩევეცელებს ლევან სილაგაძეს და ვიტალი დარასელიას. ჯაკობია „მეტალისტიდან“ წასვლას აპირებს, სილაგაძე და დარასელია კი გასინჯვაზე იყვნენ, თუმც გუნდში ფეხი ვერ მოიკიდეს.

ილია ნანოგაჯვილი

ვარჯიშია ამად კარგი...

ამერი ბანანცისთვის, მესხეთი თავისთვის

ბადრი კბილაძის ფოტო

იური გაბისკირია ამერულ საქმეს შეუდგა

თბილისის „ამერმა“ უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩამდე ერთი ამხანაგური მატჩიც ჩაატარა. შეგახსენებთ, უეფას თასზე „ყვითლები“ 13 ივლისს ერევნის „ბანანცს“ მასპინძლობენ, გუშინ კი ამხანაგურ შეხვედრაში ახალციხის „მესხეთს“ შეხვდნენ. თამაში გლდანში, „ამერის“ სტადიონზე ჩატარდა და მასპინძლებმა 4:0 მოიგეს. ახალციხელებმა, რომლებიც თავის მხრივ პირველ ლიგაში მოახლოებული სეზონისთვის ემზადებიან, პირველ ტაიმში უმაღლესლიგელებს წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ტაიმის მიწურულს გატყდნენ და ორი გოლი გაუშვეს. ანგარიში „ამერში“ დაბრუნებულმა გიზო ჯელაძემ გახსნა 42-ე წუთზე, ორ წუთში კი დავით ბოლქვაძემაც გაიტანა.

შესვენებისას გიორგი ჩიხრაძემ თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა და თამაშის განახლებიდან დაახლოებით 25 წამში სულიკო დავითაშვილმა მესამე გოლი გაიტანა. ბოლო გოლი კი გიორგი ნიკოლაიშვილისა იყო.

ამგვარად, „ამერმა“ საბანანცოდ კარგად გაივარჯიშა, ხოლო „მესხეთი“, მისი შემადგენლობიდან გამომდინარე და ამ მარცხის მიუხედავად, უთუოდ პირველი ლიგის ფავორიტთაგანი იქნება.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს:

„ამერი“: ნადირაშვილი, კედელაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დობროვოლსკი, ჯელაძე, ბოლქვაძე, სილაგავა, ტატანაშვილი, წინამძღვრიშვილი. მეორე ტაიმში: ქვაჩახია, გვაძაბია, ელბაქიძე, ბერიანიძე, დეკანოსიძე, დავითაშვილი (ჩიმაკაძე 78), გაბისკირია, მჭედლიშვილი, ნიკოლაიშვილი, დოლიძე (დავითაშვილი 87). სევასტოპულო

მესხეთი: მამარდაშვილი, კობესაშვილი, დ. ლეკიშვილი, ენისაშვილი, ჭაღიაშვილი, რუსია, ქორიძე, გ. ბერიანიძე, სეფერთელაძე, რ. კუკულაძე, მ. თაყაძე. შეცვლაზე შევიდნენ: ძმუნაშვილი, მ. ლეკიშვილი, თელიაშვილი, ინასარიძე, ჩუთლოშვილი

კოტრი კრივბასი ხავსს ეჭიდება: ლადო ბურდული ტრანსფერზეა

არა და არ უმართლებს ლადო ბურდულს. როგორც იქნა, მონახა ასე თუ ისე ნორმალური კლუბი, უკრაინულ „კრივბასთან“ კონტრაქტი გააფორმა და ამხანაგურ მატჩებშიც იყოჩაღა, მაგრამ...

„კრივბასს“ სპონსორებმა უგანეს, კლუბი გაკოტრების პირას მივიდა და უკრაინის უმაღლეს ლიგაში შესატან საწევროს ვერ იხდის. გამოსავალი კი ასეთი ნახეს: „კრივბასმა“ დუბლშემადგენლობა დაშალა და თან ძირითადი გუნდის ექვსი ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა — მათ შორის ბურდულიც მოხვდა.

„ეს ერთადერთი შანსია „კრივბასის“ გადასარჩენად. გული გვწყდება, მაგრამ წამყვან ფეხბურთელებს უნდა შეველიოთ. გადარჩენის შანსი ისედაც ერთი პროცენტია და მას უნდა ჩავეჭიდოთ“ — განაცხადა „კრივბასის“ მწვრთნელმა ალექსანდრ კოსევიჩმა.

ახლა საინტერესოა, სად გააგრძელებს კარიერას ლადო. რუსეთ-უკრაინის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დიდი დრო არც რჩება.

ილია ნანოგაჯვილი

ფედერაციის თასი. თბილისი. 7-8 ივლისი

ვ.ბარამ დოლიძისა და ვ.ბოლოდინის ფოტო

უფროსთა შორის პირველი ადგილები
თათია დონაძემ (მარცხნივ) და ქეთი ხატიაშვილმა დაიკავეს

დონაძის დონე: ოქრო

ფედერაციის თასის გათამაშების მეორე დღეს მხატვრულად ტანმოვარჯიშეები ცალკეულ სახეობებში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. სამ ასაკობრივ ჯგუფში მედლების ოთხ-ოთხი კომპლექტი გათამაშდა, ყველაზე პატარებს კი ორი აკმარეს. 1996-წლიანებში ყველას რუსმა იულია ზახაროვამ აჯობა. ქართველთაგან საუკეთესო მარიამ ბურდილაძე გახდა ორი ვერცხლით.

1993-წლიანებში, მრავალჭიდის მსგავსად, ყველა მედალი მასპინძლებს ერგოთ. ჩემპიონები ნინო ქურდაძე და ნათია ნაკაიძე გახდნენ. პირველმა სახტუნელათი და გურზებით იჩემპიონა, ხოლო მეორემ — რგოლით და ბაფთით.

1991-1992 წლებში დაბადებულთა შორისაც ორმა ტანმოვარჯიშემ იყოჩაღა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორივე სტუმარი იყო. უკრაინელმა ელიზავეტა გრიბანოვამ და აზერბაიჯანელმა ლეილა შამილოვამ ოქროები თანაბრად გაინაწილეს.

უფროსებში თათია დონაძემ მრავალჭიდში გამარჯვებას კიდევ სამი პირველი დაამატა და მხოლოდ გურზებით გავიდა მეორე ადგილზე. იქ ოქრო ქეთი ხატიაშვილს ერგო. სამი ვერცხლის მედლის მომპოვებელი 16 წლის ელენე გავარდაშვილი კი „მის გრაციად" დაასახელეს.

ოთარ გალლაკელიძე

ცალკეული სახეობები

1996-წლიანები

უსაგნოდ ვარჯიში

1. იულია ზახაროვა (რუსეთი); 2. მარიამ ბურდილაძე (საქართველო); 3. ლიკა ავაკიმიანი (საქართველო)

საგნით ვარჯიში

1 იულია ზახაროვა (რუსეთი); 2 მარიამ ბურდილაძე (საქართველო); 3. მარიამ აფხაზავა (საქართველო); მედა გათუნაძე (საქართველო)

1993-წლიანები

სახტუნელა

1. ნინო ქურდაძე (საქართველო); 2. ნათია ნაკაიძე (საქართველო); 3. მარიამ ჯანტეზი (საქართველო)

რგოლი

1. ნათია ნაკაიძე (საქართველო); 2. ნინო ქურდაძე (საქართველო); მარიამ ჯანტეზი (საქართველო); 3 ქეთი ასიტაშვილი (საქართველო)

გურზები

1. ნინო ქურდაძე (საქართველო); 2. ნათია ნაკაიძე (საქართველო); 3. მარიამ ჯანტეზი (საქართველო)

ბაფთა

1. ნათია ნაკაიძე (საქართველო); 2. მარიამ ჯანტეზი (საქართველო); 3. ნინო ქურდაძე (საქართველო)

1991-1992 წლიანები

სახტუნელა

1. ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა); 2. თამარ ტვილდიანი (საქართველო); 3. ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი)

რგოლი

1. ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი); 2. ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა); 3. ელენა ალიევა (აზერბაიჯანი); თამარ ტვილდიანი (საქართველო)

გურზები

1. ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი); 2. ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა); 3. მეგი ბალახაშვილი (საქართველო)

ბაფთა

1 ელიზავეტა გრიბანოვა (უკრაინა); 2. ლეილა შამილოვა (აზერბაიჯანი); ჯაილა კულიევა (აზერბაიჯანი); 3. თამარ ტვილდიანი (საქართველო)

უფროსები

სახტუნელა

1 თათია დონაძე (საქართველო); 2. ოლია სკუდარნოვა (უკრაინა); ელენე გავარდაშვილი (საქართველო); 3. თამარ ვეკუა (რუსეთი)

ბურთი

1 თათია დონაძე (საქართველო); 2. ოლია სკუდარნოვა (უკრაინა); ელენე გავარდაშვილი (საქართველო); 3. თამარ ვეკუა (რუსეთი)

გურზები

1. ქეთი ხატიაშვილი (საქართველო); 2. ოლია სკუდარნოვა (უკრაინა); ელენე გავარდაშვილი (საქართველო). 3. თამარ ვეკუა (რუსეთი)

ბაფთა

1 თათია დონაძე (საქართველო); 2. ქეთი ხატიაშვილი (საქართველო); ოლია სკუდარნოვა (უკრაინა); 3. თამარ ვეკუა (რუსეთი)

HANDBALL 2006

სტუდენტთა მე-18 მსოფლიოს ჩემპიონატი
გდანსკი. პოლონეთი. ფინალური მეტოქეობა

საქართველო — რუსეთი 30:31 (13:17)

ერთი ხელ-ბურთი ოქროამდე

როგორც იქნა, ველირსეთ ქართველ ხელბურთელთა წარმატებას. ლამის გადაგვავიწყდა, უკანასკნელად როდის გაახარეს მათ ქომაგები.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში საქართველოს ეული წარმომადგენლის ალექსანდრე ანპილოგოვის ოლიმპიური და მსოფლიო ოქრო-ვერცხლიანად, ჩვენებმა ბოლო დიდი წარმატება მაშინ მოიპოვეს, როცა ამჟამინდელი ეროვნული გუნდის მოთამაშეები დაბადებულებიც არ იყვნენ. ეს იყო თბილისის „ბურევესტნიკის" მიერ 1978 წელს მოგებული სსრკ თასი. მოგეხსენებათ, მაშინ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკები ნაკრებით მხოლოდ საკავშირო სპარტაკიადებზე გამოდიოდნენ, ანდა კანტიკუნტად არაოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში. ასე რომ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა ან თასის მოპოვება უდიდეს წარმატებად ითვლებოდა.

და აი, გუშინ, პოლონეთის ზღვისპირა ქალაქ გდანსკში დასრულებულ სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 13 გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავა.

ჯგუფში დასკვნითი ტურის წინ ისეთი ჩახლართული ვითარება შეიქმნა, რომ ლიდერ იაპონელთა ძლევითაც კი შესაძლოა, ჩვენები პირველ ადგილზე ვერ გასულიყვნენ, ხოლო წაგების შემთხვევაში მხოლოდ ბოლოსწინა, მეხუთე საფეხურზე დარჩენილიყვნენ. მაგრამ მერაბ მეტრეველისა და ირაკლი კეკელიძის პიჭებისთვის ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა.

გთავაზობთ ჩემპიონატის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ კომენტარს: „ჯგუფში გამარჯვებულის გასარკვევად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მთასავით დიდი ქართველები და დინამიური, სწრაფი იაპონელები. პირველი ტაიმი მთლიანად ქართველების კონტროლით წარიმართა. მათ დიდებულად ითამაშეს დაცვაში, ხოლო თითქმის ყოველ შეტევას გოლით მთავრდებოდა.

ტაიმი იაპონელებისთვის კატასტროფულად დასრულდა — 11:20 და ამხელა ჩამორჩენა მათთვის დაუძლეველი აღმოჩნდა. აზიელებმა მატჩის მეორე ნახევარი ენერგიულად კი დაიწყეს, მაგრამ ცხრაბურთიანი პასივის გაბათილება ვერ შეძლეს. ქართველებმა გუნდური თამაშით გაიტანეს თავისი."

ანგარიში იაპონელებმა გახსნეს და ოთხიოდე წუთი ინარჩუნებდნენ მინიმალურ უპირატესობას — 2:1, 3:2. ჩვენებმა მალე გაათანაბრეს, მერე კი თავად იყვნენ წინ ერთიორი ბურთით. მატჩის ბედი გადაწყდა შესვენების წინ, როცა ქართველებმა შვიდწუთიან მონაკვეთში 7:1 აჯობეს მეტოქეს.

აზიელმა ხელბურთელებმა მეორე ტაიმში ჩამორჩენის მხოლოდ განახევრება მოახერხეს — 32:36.

მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო ათჯერ გამტანი ვლადიმერ რუსია. ჩვენი გუნდის მთავარმეკოლე სერგო დათუკაშვილმა, გიორგი ქობელაშვილმა და გიორგი წივწივაძემ ხუთ-ხუთი ზუსტი ტყორცნა მიითვალეს, ოთხ-ოთხი გოლი კი რევაზ ჭანტურიას და მამა კობახიძის ანგარიშზეა.

საქართველოს მეორე საპირველადგილო კონკურენტმა — უნგრეთმა ჩეხებთან წაფორხილა (29:31) და მხოლოდ მეოთხე საფეხურზე დარჩა.

ამრიგად, ქართველმა ხელბურთელებმა ჯგუფში პირველობა მოიპოვეს და წუხელ, სჩემპიონო ფინალურ მატჩში **A** ჯგუფში გამარჯვებულ რუსეთს დაუპირისპირდნენ.

„ბოლომდე დაძაბული და თანაბარი თამაში იყო — გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა, გდანსკში რომ დავურეკეთ — ჩვენი ბიჭებისგან განსხვავებით, ფინალური შეხვედრის წინა დღეს, რუსებს, რაკი ვადამდე ჰქონდათ განაღდებული ჯგუფში პირველობა, აუტსაიდერ უკრაინასთან მაინცდამაინც არ დაუხარჯავთ ძალები. თითქმის ყველა მათ უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას და თანაც დიდი სხვაობით. ტაიმი ოთხი ბურთით წავაგეთ, მაგრამ შესვენების შემდეგ შევძელით ანგარიშის გათანაბრება და საფინალო სასტვენამდე ბრძოლა ბურთი-ბურთში მიდიოდა. ბოლო წუთზე დათუკაშვილმა მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ ერთხელაც გათანაბრება ვეღარ მოახერხეთ."

დათუკაშვილმა ათი გოლი გაიტანა, ჭანტურიამ — რვა, რუსიამ — ოთხი, ქობელაშვილმა და წივწივაძემ — სამ-სამი, მსხვილიძემ — ორი.

გია ახალაძე

A ჯგუფი

რუსეთი	6	0	0	+46	12
ბელარუსი	4	0	2	+59	8
ლატვია	3	1	2	+6	7
თურქეთი	3	1	2	+32	7
სერბეთი	2	1	2	-7	5
უკრაინა	1	1	4	-27	3
ჩინეთი	0	0	6	-109	0

B ჯგუფი

საქართველო	3	1	1	+14	7
ჩეხეთი	3	0	2	+4	6
იაპონია	3	0	2	+7	6
უნგრეთი	3	0	2	-3	6
პოლონეთი	1	1	3	-1	3
ხორვატია	1	0	4	-21	2

გამოცდილება ბრინჯაოთი დაფასდა

უნგრეთის ქალაქ სომბატჰეიში მოჭიდავეთა ერთკვირიანი ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატი კლასიკურად დასრულდა. გუშინწინ და გუშინ ხალიჩაზე რვა წონითი კატეგორიის ბერძენ-რომაელები გავიდნენ და სამი სინჯის ოცდათორმეტი მედალი დაინაწილეს. საქართველოში მხოლოდ ერთი მედალი მოდის, ისიც ბრინჯაოსი. არაოფიციალური დევიზი — უკეთ, ვიდრე იზმირში, განუხორციელებელი დარჩა — ვლადიმერ ადეიშვილის გუნდმა შარშანდელ ევროპაზეც ერთი ბრინჯაო მოიპოვა.

იზმირში ნაჭიდავები ბიჭებიდან სომბატჰეის შემადგენლობაში მხოლოდ 50 კილოგრამში მოჭიდავე ლაშა გოგიტაძე მოხვდა. დანარჩენები დებიუტანტები იყვნენ და მოკრძალებული დევიზიც ამის გამო გაკეთდა. შედეგი კი სწორედ გოგიტაძემ აჩვენა.

ნაკრების უმსუბუქესმა წევრმა ტურნირი სომეხი ტიგრან გევორქიანის ძლევით დაიწყო, მერე რუსი ანდრეი ბულეევიც დაამწუხრა და ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ იქ თურქ ჰარუნ ბოზოლუსთან წააგო და ნუგეშად რეპეშაჟიღა შერჩა. ბრინჯაოს ფინალში ჩვენებურმა უკრაინელ მიხაელ ტიმოშჩენკოს მოუგო.

ქართველების გამოსვლა ჯამში არცთუ სახარბიელოა, მაგრამ აქვე უნდა ვქთქვათ, რომ ტურნირი რვავე ჩვენებურმა გამარჯვებით დაიწყო და გოგიტაძის გარდა, ყველამ მეოთხედფინალში დაასრულა ოქროზე ფიქრი. რეპეშაჟში გადართულთაგან კი მედალთან ყველაზე ახლოს ილია გულბათაშვილი (66კგ) და გენადი ხელაია (96კგ) იყვნენ. საბოლოოდ ორივე მეხუთე ადგილზე გავიდა.

ოთარ გალლაკელიძე

მძლეოსნებს რეკორდები გაუძვირდათ

AFP პარიზიდან

ჯერემი უორინერმა (№2) სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა

შაბათს პარიზის მუშათა გარეუბან სენ დენიში, უმშვენიერეს, „სტად დე ფრანსეზე“ წლევანდელი ოქროს ლიგის მეორე ეტაპი გაიმართა, რა გასაკვირია და, მსოფლიო რეკორდის გარეშე. რეკორდები გაუძვირდათ მძლეოსნებს, 3-4 დიდი ტურნირი ისე ჩაირბენს, ერთს ვერ გაახერხებენ ხოლმე. თუმცა ერთი გვარიანი რეკორდი კარგა ხანია, მწიფდება და ადრე თუ გვიან პარიზში, რომში თუ ჰაიდარაბადში დაიქუხებს.

100 მეტრიან სპრინტში კაცთა რეკორდს დღეს ორი პატრონი ჰყავს — იამაიკელი ასაფა პაუელი და და ამერიკელი ჯასტინ გატლინი. ორივეს უჩვენებია 9,77 წამი, პაუელს ორჯერაც კი და ამ ორთაგან ერთ-ერთი მაინც მოახერხებს ამ სულისშემხუთავად მცირე დროის კიდევ უფრო შემცირებას. წლეულს ორივე კარგ ფორმაშია, მაგრამ საქმე ისაა, ერთმანეთს ემალებიან, რა გასკვირია, მეფობა ორივეს უნდა და წაგების შიში როგორც არასდროს, ისე აქვთ გამჯდარი თავსა და ფეხებში. თუმცა არა, ორივენი კი არა, გატლინი უფრო იმალება, დიდ ტურნირებს თავს არიდებს და პაუელს საშუალებას აძლევს, დანარჩენ სპრინტერებს მისი ზურგი და ტერფები აყურებინოს. პაუელი ყველგან რამდენიმე მეტრს, წამის მთელ მეათედებს უგებს კონკურენტებს და თავშეკავებული მოწოდებებით იწვევს გატლინს სარბენ ბილიკებზე, მთლად ისე ისტერიულადაც არა, როგორც ოდესღაც მუჰამედ ალი იწვევდა რინგზე ცხოველ სონი ლისტონს. პაუელი ამბობს — მე ჩემსას მაინც მივაღწევ, მიიღებს ეგ გამოწვევას თუ არაო.

AFP პარიზიდან

მერიონ ჯონსი დაბრუნდა

პაუელი პარიზშიც სარეკორდოდ ფეხგამზადებული ჩავიდა და მოიგო კიდეც, როგორც ყოველთვის, საშინელი უპირატესობით, მაგრამ რეკორდს ვერ მიუახლოვდა. იმდენად იყო მოწადინებული, რომ ნერვებმა და მოთმინებამ უღალატა და ფალსტარტი გააკეთა, რამაც გვარიანად ამოაგდო კალაპოტიდან. მეორე ცდაზე უკვე ნორმალურად, სანიშნო გასროლის თანხლებით დაიწყო და მალევე მოიტოვა მსოფლიოს რჩეული სპრინტერები, საბოლოოდ ერთადერთმა გადალახა 10-წამიანი ზღვარი და საკმაოდ კარგი დროც აჩვენა — 9,85, მაგრამ ეს ხომ რეკორდი არაა და იამაიკელიც ცოტა გაწბილებული ჩანდა — არა უშავს რბოლა იყო, მე ოდნავ უკეთესი შედეგის იმედი მქონდაო — ესღა უთხრა ჟურნალისტებს და გასახდელშიც დურთა თავი.

არა უშავს კი არა, 9,85-იც გვარიანი შედეგია, ბევრი მხოლოდ ოცნებობს ასე სწრაფად სირბილზე. თუნდაც იქ, პარიზში, მეორე ადგილზე გასული ამერიკელი მარკუს ბრანსონის დრო 10,08 წამია, ლამის მეოთხედი წამით უარესი, ვიდრე პაუელისა. 10,11 წამით მესამე ადგილი ერგო უფრო 200 მეტრის ფრანგ ოსტატ რონალდ პონონს. 200 მეტრის კიდევ ერთი სპეციალისტი, ამერიკელი შონ კროუფორდი 10,17 წამით მხოლოდ მე-6 გახლდათ.

უფრო დაძაბული გამოვიდა ქალთა 100-მეტრიანი სპრინტი, რომელიც საკმაო დრამატიზმით შეჯერებულ რბოლაში მოიგო „დიდ ავიაციაში“ დაბრუნებულმა, სპორტის დედოფლის ყოფილმა დედოფალმა მერიონ ჯონსმა. იამაიკელ შერონ სიმპსონთან და თანამემამულე ტორი ედვარდსთან შეჯიბრში მერიონმა 100 მეტრი 10,92 წამში გაირბინა და კუნძულელს 0,06 წამით მიასწრო ფინიშთან, ამერიკელს კი 0,14-ით.

რეკორდებს აგვიანებს რუსი ჭოკით მხტომელი ელენა ისინბაევაც, რომელმაც კარგა ხანია, სადღაც ქვევით დატოვა დანარჩენი მეჭოკე ქალები და ჭოკი საკუთარივე რეკორდების მხობას მიჰყო — თითო-თითო სანტიმეტრით მიიწევდა ზევით და პირველი ქალი გახდა, 5-მეტრიან თამასას რომ გადაევლო, მაგრამ მისი ბოლო რეკორდული ნახტომიდან კარგა გვარიანი ოდენობით თვეები გავიდა. ახლა ელენა, 5 მეტრს ვინღა უყურებს, მხოლოდ 4,76 მეტრს გადაევლო და მაინც გვარიანად, 15 სანტიმეტრით აჯობა უახლოეს მდევრებს, რომელიც ერთბაშად სამია — ფრანგი ვანესა ბოსლაკი, პოლონელი მონიკა პირეკი და გერმანელი ნასტია რიიხი.

ლამაზად მოიგო 400 მეტრის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და საზოგადოდ ამ „ერთწრიანი“ (მინდვრის გარშემოწერილობა სწორედ 400 მეტრია) დისტანციის უდავო პირველოსანმა, ამერიკელმა ჯერემი უორინერმა, ვინაც მინდორს 43,91 წამში შემოურბინა და დამაჯერებლად აჯობა თანამემამულე ენდრიუ როკს (45,02 წამი). უორინერმა ოქროს ლიგის პირველი ეტაპიც მოიგო ოსლოში და დღევანდელი გადასახედიდან 1 000 000-იანი ჯეკპოტის წილის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ კანდიდატადაც ჩაითვლება.

საშუალო დისტანციის მომგები გოგო-ბიჭებიც მოვიხსენიოთ თითო სიტყვით. კენიელ ედვინ ჩერიოტ სოისთან გაცხარებულ რბოლაში იმარჯვა 5 000 მეტრის ეთიოპიელმა მეფემ და ზოგადად ერთ-ერთმა უგამოჩენილესმა მძლეოსანმა კენენისა ბეკელემ. მან ხუთ კილომეტრს 12 წუთი და 51,32 წამი აკმარა და წამით აჯობა კენიელს. 1 500 მეტრზე კი იმარჯვა უკრაინელმა ივან ჰეშკომ (3 წთ, 31,08 წმ). ამ დისტანციას გამოკვეთილი ლიდერი აღარ ჰყავს, რაც დიადი მაროკოელი ჰიშამ ელ გურუჯი სარბენ ბილიკებს გამოეთხოვა.

ქალებში ოსლოში მოგების შემდეგ პარიზშიც იპირველეს 400 მეტრის ამერიკელმა დედოფალმა სანია რიჩარდსმა და 3000-5000 მეტრის ეთიოპიელმა მატრიარქმა ტირუნეშ დიბაბამ (პარიზში 5 000 მეტრი 14 წუთსა და 54,24 წამში დაფარა). ოქროს ლიგის ორი ეტაპის შემდეგ კი მილიონის ღირებულების ოქროს ზოდებისთვის დავას ოთხი მძლეოსანიღა შემორჩა — ქალებში რიჩარდსი და დიბაბა, კაცებში კი ჩვენი მეგობარი პაუელი და ასევე ნახსენები უორინერი.

კოტე ყორღია

კაცები

100 მ

ასაფა პაუელი (იამაიკა)	9,85წმ

400 მ

ჯერემი უორინერი (აშშ)	43,91წმ

800 მ

უილფრედ ბუნგეი (კენია)	1წთ 44,41წმ

1 500 მ

ივან ჰეშკო (უკრაინა)	3წთ 31,08წმ

5 000 მ

კენენისა ბეკელე (ეთიოპია)	12წთ 51,32წმ

3 000 მ წინაღობებით

ეზეკელ კემბოი (კენია)	8წთ 9,29წმ

110 მ თარჯრბენი

ტერენს ტრამელი (აშშ)	13,06წმ

400 მ თარჯრბენი

ელვინ მიბურგი (ს. აფრიკა)	48,46წმ

სიგრძეზე ხტომა

იგნისიუს გაისა (განა)	8,31მ

შუბის ტყორცნა

ტერო პიტაკამაკი (ფინეთი)	89,07მ

ქალები

100 მ

მერიონ ჯონსი (აშშ)	10,92წმ

400 მ

სანია რიჩარდსი (აშშ)	49,73წმ

1 500 მ

იულია ჟიჟენკო (რუსეთი)	3წთ 55,68წმ

5 000 მ

ტირუნეშ დიბაბა (ეთიოპია)	14წთ 54,24წმ

100 მ თარჯრბენი

სუსანა კალური (შვედეთი)	12,61წმ

400 მ თარჯრბენი

ლაშინდა დემუსი (აშშ)	53,76წმ

სიმაღლეზე ხტომა

ელენა სლუსარენკო (რუსეთი)	2მ

ჭოკით ხტომა

ელენა ისინბაევა (რუსეთი)	4,76მ



ლებრონი კლივლენდში დარჩება

ლებრონ ჯეიმსი „კლივლენდში“ დარჩება. მან, ისევე როგორც ნბა-ში 2003 წელს მისულმა ორმა სუპერვარსკვლავმა — მაიამელმა დუეინ ვეიდმა და დენვერელმა კარმელო ენტონიმ, კარიერის ძველ კლუბში გაგრძელება არჩია და ვეიდის და ენტონის მსგავსად 5-წლიან და 80-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ხელშეკრულება ძალაში 2007 წლის ზაფხულში შევა, როცა ლებრონის ძველი, ახალბედობის დროინდელი ოთხწლიანი კონტრაქტის ვადა ამოიწურება.

ამგვარად, ყმაწვილი სუპერვარსკვლავი „კლივლენდს“ 2012 წლამდე უკავშირებს თავის ბედს და ამბობს — ამ გუნდს ჩემპიონობა უნდა მოვუტანოო. არადა, იმ დღიდან, როცა ეს ვარსკვლავბიჭუნა „კავალიერზში“ მივიდა, მთელი კლივლენდი იმის შიშით იძინებდა და იღვიძებდა, რომ ჯეიმსი დიდხანს არ ისურვებდა ამ არცთუ გიგანტურ ქალაქში დარჩენას და ადრე თუ გვიან რომელიმე მეგაპოლისს მიაშურებდა, ვთქვათ, ნიუ იორკს, ლოს ანჯელესს, ან თუნდაც ჩიკაგოს. ახლაც, მის ახალბედობის დროინდელ 3+1 წლიანი კონტრაქტის 3 წელი რომ ამოიწურა, კლუბის ბოსების ნერვიულობამ პიკს უწია, მით უფრო, რომ ლებრონი და მისი აგენტი მოსალაპარაკებლად მისვლას აჭიანურებდნენ. მაგრამ ახლა, რაკი შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტს მოთამაშის ხელმოწერაღა აკლია, მთელმა კლივლენდმა მშვიდად ამოისუნთქა.

მრავალჯერ დაგვიწერია, მაგრამ ერთხელაც აღვნიშნოთ, თუ რას ნიშნავს ჯეიმსი ამ კლუბისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ 21 წლისაა, ამთავითვე ნათელია, რომ ასეთ მძლავრ კალათბურთელს „კავალიერზში“ არასდროს უთამაშია. განვლილ სეზონში ჯეიმსი მატჩში საშუალოდ 31 ქულაზე, 7 მოხსნასა და 6 პასზე მეტს აგროვებდა და ამ მხრივ ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ მეოთხეა ოსკარ რობერტსონის, ჯერი ვესტისა და მაიკლ ჯორდანის შემდეგ. ამასთან ის ყველაზე ახალგაზრდაა, ვინც ოლ სტარის უძვირფასესი მოთამაშის წოდება მიიღო. ხოლო სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოკითხვაში აჯობა კობი ბრაიანტს, დირკ ნოვიცკის და მხოლოდ სტივ ნეშს ჩამორჩა. მოკლედ, ეს ბიჭი ნამდვილი განძია „კლივლენდისთვის“.

კოტე ყორღია

სამი ერი 2006

პრაისტჩერჩი. 8 ივლისი. პირველი ტური

ახალი ზელანდია 32:12 ავსტრალია

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, გიარი, მულიაინა, მეიჯორი, როკოსოკო, კარტერი, კელაჰერი, სოოლაიო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, იტონი, ჯეკი, ჰეიმანი, მილამუ, ვუტკოკი
შეცვლაზე შევიდნენ: ჰორი, სომერვილი, უილიამსი, მაკალისტერი, ტოევა
4 ლ: მილამუ (2), მაკქოუ, ტოევა; 3 მ: კარტერი; 2 ს: კარტერი
ავსტრალია: ლატამი, ჯერარდი, მორტლოკი, როჯერსი, ტუკირი, ლარკემი, გრეგანი (კაპ), ელსომი, სმიტი, ჩიშოლნი, ვიკერმანი, შარპი, შეპერდსონი, მაკისააკი, ჰოლმსი
შეცვლაზე შევიდნენ: პოლი, ბაქსტერი, ვუ, ჟიტუ, თიუნი, ფავა
2 ლ: ტუკირი, ფავა; 1 მ: მორტლოკი

შავებმა ოზები გააშავეს

ყვითლები ყვითელმა დაღუპა



AFP კრაისტჩერჩიდან

კევინ მილამუმ სტუმრები ორი ლელოთი გაისტუმრა

შაბათს, ბარაქიანი რაგბობით დაიწყო სამხრეთ ნახევრსფეროს უმთავრესი სარაგბო ტურნირი — სამი ერის პირველობა.

მსოფლიო გრანდები ახალი ზელანდია, ავსტრალია და სამხრეთ აფრიკა ორ წრედ შინ და გარეთ ირაგბებენ და ლამის თვენახევრიან — ექვსმატჩა ეშხიან ბურთაობაში სამხრეთ ნახევარსფეროს სეფეგუნდს გამოავლენენ.

შაბათს პირველი სისხლი ზელანდიურ ქრაისტჩერსში დაიღვარა. ტურნირის ყოველთვის ფავორიტმა ახალმა ზელანდიამ, იგივე „ოლ ბლექსმა“ ბდღვირი ადინა ავსტრალიას, ვისაც ამხელა სხვაობით სამ ერზე აქამდე არასდროს წაეგო. „შავებმა“ კი ოთხქულასთან ერთად, სამი და მეტი ლელოს გატანისთვის პრემიალური ქულაც ჩააწკრიალეს თავიანთ ყულაბაში.

როგორც მატჩზე აკრედიტებული სარაგბო მიმომხილველი დენი სტივენსი გვამცნობს, პირველი ტაიმის 30-ე წუთამდე ავსტრალიას წასაგები, მით უფრო, ამხელა სხვაობით, არაფერი ეტყობოდა. „ვოლაბებს“ მეტოქე კონტროლში ჰყავდათ და „შავების“ ზემოიერიშებს თავიანთ ლელოს არ აკარებდნენ.

ავსტრალია შერკინების შემკვრელმა როკი ელსომმა დააღალატა. როგორც სტივენსი წერს, ელსომმა მსაჯის გაფრთხილება ყურიდან ყურში გაუშვა, ბურთის უწესოდ ჩახურვას არ შეეშვა და იდიოტურად აიკიდა ყვითელი ბარათი, რასაც რაგბიში სინბინი ჰქვია — ათი წუთით გაძევებას ნიშნავს.

სწორედ ამ ათწუთიულში აიწყვიტეს „ოლ ბლექსის“ ფეხმარდმა უკანახაზელებმა და კაცნაკლული ავსტრალია ხერხემალში გატეხეს. განსაკუთრებით კი მაორი მორკინალი კევინ მილამუ გამოირჩა, ვინც ორი ლელო უთავაზა გზააბნეულ ოზებს. მატჩის გმირი კი არც მილამუ გამხდარა, არც დენ კარტერი, ვისთვისაც ორი-სამი ავსტრალიელის გადათელვა იმ დღეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. დღის მოთამაშედ ახალზელანდიელი ყოჩი რიჩი მაკქუ აღიარეს. ამ ათლეტის რაგბობა მაგრად კი არა, ექსტრა კლასად იქნა შეფასებული.

ბაჩო სვანიძე

93-ე ტურ დე ფრანსი 2006, 1-23 ივლისი

სერგეი გონ-ჩქარი

ვის აულრიხებს T-მობაილი?

AFP რუნდიდან

სერგეი გონჩარმა ყვითელი მაისურა მოირგო

შაბათს საფრანგეთის ჩრდილოდასავლეთით, ბრეტანში, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ მე-7 ეტაპი, ინდივიდუალური რბოლა ჩატარდა და სენტ გრეგუარსა და რენს შორის გაჭიმულ 52 კილომეტრზე სრულად შეიცვალა რიგით 93-ე „ტურის“ საერთო სურათი. ყველაფერი თავდაყირა დადგა და ეს მოსალოდნელიც იყო და მოულოდნელიც. მოსალოდნელი ის გახლდათ, რომ სპრინტერებმა, რომლებიც წინა ეტაპებზე ყოჩაღობდნენ და ლიდერის ყვითელი მაისურათი იწონებდნენ თავს, ერთბაშად დათმეს პოზიციები, ხოლო მოულოდნელს რაც შეეხება, ასეთად რამდენიმე ფავორიტის სრული კრახი უნდა მივიჩნიოთ.

მოულოდნელით დავიწყოთ და ივან ბასოს, იან ულრიხის, ალექსანდრ ვინოკუროვის რბოლიდან მოკვეთისა და ალეხანდრო ვალვერდეს ტრავმის შემდეგ უმთავრეს ფავორიტად ამერიკელი ლევი ლეიფემერი მიიჩნეოდა. საერთოდაც, იანკები დიდი ამბიციებით ჩავიდნენ საფრანგეთში და ეს, ერთგვარად ლოგიკურიც იყო. ლენს არმსტრონგის გამარჯვებებმა ველოსპორტი ამერიკაში უაღრესად პოპულარული გახადა და ერთბაშად წამოვიდა ნიჭიერი მრბოლების მთელი წყება. მინიმუმ ოთხ კაცზე ამერიკელები განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ —„ ლეიფემერი, ჯორჯ ჰინკეპი, ფლოიდ ლენდისი და ბობი ჯულიჩი „ტურის“ ფავორიტთა შორის მოიხსენიებოდნენ და ახლა ეს სია, მინიმუმ განახევრდა. ლეიფემერი, რომელმაც ბრწყინვალე სტილში მოიგო წლევანდელი „დოფინი ლიბერე“ და იქ, სწორედ ინდივიდუალურ რბოლაში გამოიჩინა თავი, შაბათს უსუსური იყო — გერმანული „გეროლშტაინერის“ ლიდერმა, ოდენ 96-ე შედეგი აჩვენა და გამარჯვებულთან 6 წუთზე მეტი წააგო. ლეიფემერს რაღაც მიზერული შანსები სამთო ეტაპებზე, ალბათ, კიდევ ექნება, აი ჯულიჩისთვის კი წლევანდელი „ტური“ ნაადრევად დასრულდა — ბასოს მოკვეთის შემდეგ დანიური CSC სწორედ ამ ამერიკელზე აკეთებდა აქცენტს, მაგრამ შაბათს ჯულიჩი ერთ-ერთ მოსახვევში წაიქცა და სერიოზულად დაშავდა. დიდად, ვერც ჰინკეპიმ ივარგა, მხოლოდ 24-ე შედეგი აჩვენა გამარჯვებულთან თითქმის სამწუთიანი ჩამორჩენით. აი, ლენდისმა კი იყოჩაღა და იქნებ გამართლდეს კიდეც ლეგენდარული ედი მერქსის სიტყვები — „ტურის“ ხუთჯერ მოგებამ ბელგიელმა ხომ ამ რამდენიმე დღის წინ ბრძანა, მთავარ ფავორიტად ლენდისი მიმაჩნიაო.

შვეიცარიული „ფონაკის“ ლიდერმა მართლაც კარგად ირბოლა და საბოლოო ჯამში მეორე შედეგი აჩვენა. საუკეთესო დრო კი უკრაინელ სერგეი გონჩარს აღმოაჩნდა — 52 კილომეტრი ერთ საათში, ერთ წუთსა და 43 წამში დაფარა და ეტაპის შემდეგ კარიერაში პირველად მოირგო „ტურის“ ლიდერის ყვითელი მაისურა.

გონჩარი ლენდისს ზუსტად ერთ წუთს უგებს და მერე უკრაინელის თანაგუნდელები, გერმანული T-მობაილის სხვა მრბოლები მოდიან. T-მობაილის წევრებმა შაბათს დიდებულად იასპარეზეს — გონჩარი პირველი იყო, ავსტრალიელი მაიკლ როჯერსი მეოთხე, გერმანელები პატრიკ სინკევიჩი და ანდრეას კლოდენი, შესაბამისად მეექვსე და მერვე. საერთო ჩათვლაშიც, როჯერსი მესამეა, სინკევიჩი მეოთხე, კლოდენი მეექვსე, ხოლო კიდევ ერთი გერმანელი მატიას კესლერი მეთერთმეტე. რაც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ლენდისის უპირატესობა იქნებ, სწორედ ეს იყოს — „ფონაკში“ ყველაფერი გარკვეულია, იქ ლენდისია ლიდერი და მთელი გუნდი მასზე იმუშავებს, ხოლო T-მობაილში, ულრიხის არყოფნაში, ალბათ, ჯერაც ვერ გარკვეულან, თუ ვისზე გააკეთონ აქცენტი.

კარგად ირბოლა რუსმა დენის მენშოვმაც, ვინც მერქსმა აგრეთვე ფავორიტთა შორის მოიხსენია. მენშოვი ინდივიდუალურ რბოლაში მეცხრე იყო და საერთო ჩათვლაშიც მეცხრეა გონჩართან ორწუთიანი ჩამორჩენით. ფრანგების გასახარად, ნორმალურად გამოიყურებოდა კრისტოფ მოროკ, ვისთვისაც ინდივიდუალური რბოლა ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო. ამჯერად კი მოროკ მხოლოდ 2 წუთი და 4 წამი წააგო გონჩართან და იმის გათვალისწინებით, რომ მთებში უკრაინელზე ძლიერია, ფრანგების გულში კვლავ გაღვივდა ოცდაერთწლიანი იმედი — 1985 წლის, ანუ მას შემდეგ, რაც დიადმა ბერნარ ინომ თავისი მეხუთე ტრიუმფი იზეიმა, მასპინძლებს „ტური“ აღარ მოუგიათ.

აი, სახელიანმა იტალიელებმა კი, პაოლო სავოლდელის თუ არ ჩათვლით, ლეიფემერის ბედი გაიზიარეს — სტეფანო გარძელიმ, ჯილბერტო სიმონიმა და დამიანო კუნეგომ ხუთ-ხუთ წუთზე მეტი წააგეს გონჩართან. მსგავსი შედეგი აჩვენა ესპანელმა იბან მაიომაც და ალბათ, ეს ბასკიც უნდა ამოვშალოთ ფავორიტთა სიიდან. ძველ ლიდერს, ბელგიელ ტომ ბოონენს რაც შეეხება, მან ინდივიდუალურ რბოლაში საკმაოდ ნორმალური, 41-ე შედეგი აჩვენა და ახლა საერთო ჩათვლაში 21-ე ადგილზეა გონჩართან 3 წუთისა და 15 წამის ჩამორჩენით. გაკილებით მეტს, 6 წუთს აგებს ლიდერთან სპრინტის ავსტრალიელი დიდოსტატი რიჩი მაკევენი, რომელმაც წინა დღეს მორიგი, მიმდინარე რბოლაში უკვე მესამე გამარჯვება მოიპოვა.

გია მუჯირი

მეექვსე ეტაპი. ლიზიე-ვიტრო. 189 კმ

1. რობი მაკიენი (ავსტრალია, ლოტო)	4 სთ. 10 წთ. 17 წმ.
2. დანიელე ბენატი (იტალია, ლამპრე)	
3. ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	
4. ბერნხარდ აიზელი (ავსტრია, ფრანსაიზ დე ჟუ)	
5. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	ყველას იგივე დრო

მეშვიდე ეტაპი. სენტ გრეგუარი — რენი. 52 კმ.

ინდივიდუალური რბოლა

1. სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი)	1 სთ. 1 წთ. 43 წმ.
2. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+1 წთ. და 1 წმ.
3. სებასტიან ლანგი (გერმანია, გეროლშტაინერი)	+1 წთ. და 4 წმ.
4. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+1 წთ. 24 წმ.
5. გუსტავ ლარსონი (შვედეთი, ფრანსაიზ დე ჟუ)	+1წთ. და 34 წმ.

საერთო ჩათვლა

1. სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი)	30 სთ. 23 წთ. 20 წმ.
2. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+ წთ.
3. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+ წთ. და 8 წმ.
4. პატრიკ სინკევიჩი (გერმანია, T-მობაილი)	+1 წთ. და 45 წმ.
5. მარკუს ფოტენი (გერმანია, გეროლშტაინერი)	+1 წთ. და 50 წმ.

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £



AFP ლონდონიდან

როჯერ ფედერერი

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია). შვეიცარიის მოქალაქე. ცხოვრობს ბოტმინგენში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ. წონა 81 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. ATP-ის რეიტინგის პირველი ნომერი. მოგებული აქვს ერთეულთა 39 (მათ შორის 8 დიდი სლემის: ავსტრალიის ღია პირველობა-2004, 2006; უიმბლდონი-2003-06; აშშ-ის ღია პირველობა -2004-05) და წყვილთა 7 ტიტული. კარიერაში ჩატარებული 571 მატჩიდან 447 მოიგო და 124 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 24 745 933 დოლარი.

ფედერერი WIMBLEDON-2006-ზე

პირველი წრე	ფედერერი — რიშარ გასკე (საფრანგეთი)	6:3 6:2 6:2
მეორე წრე	ფედერერი — ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	6:4 6:0 6:2
მესამე წრე	ფედერერი — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი)	6:3 7:6 6:4
მეოთხე წრე	ფედერერი — ტომაშ ბერდიხი (13, ჩეხეთი)	6:3 6:3 6:4
მეოთხედფინალი	ფედერერი — მარიო ანჩიჩი (7, ხორვატია)	6:4 6:4 6:4
ნახევარფინალი	ფედერერი — იონას ბიორკმანი (შვედეთი)	6:2 6:0 6:2
ფინალი	ფედერერი — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი)	6:0 7:6 6:7 6:3

ამელი მორესმო

დაიბადა 1979 წლის 5 ივლისს ლეიში (საფრანგეთი). საფრანგეთის მოქალაქე. ცხოვრობს ბორნელში (საფრანგეთი). სიმაღლე 175 სმ. წონა 64 კგ. პროფესიონალია 1997 წლიდან. WTA-ს რეიტინგის პირველი ნომერი. მოგებული აქვს ერთეულთა 23 (მათ შორის 2 დიდი სლემის: ავსტრალიის ღია პირველობა-2006 და უიმბლდონი-2006) და წყვილთა 2 ტიტული. კარიერაში ჩატარებული 521 მატჩიდან 386 მოიგო და 135 წააგო. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 12 111 769 დოლარი.

მორესმო WIMBLEDON-2006-ზე

პირველი წრე	მორესმო — ივანა აბრამოვიჩი (ხორვატია)	6:0 6:0
მეორე წრე	მორესმო — სამანდა სტოსური (ავსტრალია)	6:4 6:2
მესამე წრე	მორესმო — ნიკოლ პრატი (ავსტრალია)	6:1 6:2
მეოთხე წრე	მორესმო — ანა ივანოვიჩი (19, სერბეთი)	6:3 6:4
მეოთხედფინალი	მორესმო — ანასტასია მისკინა (9, რუსეთი)	6:1 3:6 6:3
ნახევარფინალი	მორესმო — მარია შარაპოვა (4, რუსეთი)	6:3 3:6 6:2
ფინალი	მორესმო — ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია)	2:6 6:3 6:4

როჯერ პოკერი

პოკერი? პოკერი არის! ბალახზე ზედიზედ მოგებული მატჩების სერია? აგერ უკვე 48-ს მიუკაკუნა. ჯავრი? „როლან გაროსის“ წაგებულ ფინალზე ჯავრიც ნაყარია — აი, ასე დაამთავრა წლევანდელი უიმბლდონი როჯერ ფედერერმა.

შვეიცარიელი წლევანდელი გამარჯვების შემდეგ ორი ლეგენდის გარემოცვაში აღმოჩნდა — აქამდე ღია ერაში (ანუ 1968 წლიდან) უიმბლდონი ზედიზედ ოთხჯერ მხოლოდ ბიორნ ბორგსა და პიტ სამპრასს მოეგოთ. ჰოდა, ფედერერმაც ამ ხალხის გვერდზე თავისი ადგილი დაიმკვიდრა.

მოგებით კი მოიგო ფედერერმა, მაგრამ... არასოდეს ასე არ გასჭირვებია; არასოდეს ამდენი არ უწვალია; არასოდეს ასეთი კონცენტრირებული არ ყოფილა; არასოდეს ამდენი ნერვიული ენერგია არ დაუხარჯავს; და არასოდეს ასეთი ემოციური არ ყოფილა გამარჯვების შემდეგ.

ეს კი იმიტომ, რომ რაფაელ ნადალმა ყველა მოლოდინის წინააღმდეგ დიდი ომი გაუმართა გამოცდილ მეტოქეს და ფედერერს უიმბლდონის სეტწაუგებლად მოგება არ დაანება. ლონდონში შემდეგი დეკადით ჩასულმა ესპანელმა ჯადო ბიჭმა — მანამდე გავალ, სანამ შეეძლებ (უფრო გამიმართლებს) — ნამდვილი საოცრებები ჩაიდინა „სრულიად ინგლისის ბალახის ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბის“ კორტებზე.

ფინალი კი ფანტასტიკური გამოვიდა და ცენტრალურ კორტზე მჯდარ თუ ტელევიზორით მაყურებელ გულშემატკივრებს დიდხანს ემახსოვრებათ. ბოლოს ასეთი დონის მატჩი ხომ საკმაოდ დიდი ხნის, 5 წლის წინ ვიხილეთ პატრიკ რაფტერსა და გორან ივანიშევიჩის შესრულებით.

ფინალი ისეთი იყო, როგორსაც ტურნირის გადამწყვეტი მატჩისგან მოელი — კორტზე ორი დიდი სტრატეგი იდგა, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ეძებდნენ მეტოქის სუსტ წერტილებს და მინიმალური უპირატესობის გამოყენებას ცდილობდნენ.

საბოლოოდ ამ ჭიდილში უფრო ფედერერმა იმარჯვა, რაც დიდად განაპირობა ბალახზე თამაშის მეტმა გამოცდილებამ და შვეიცარიელის მიერ ნადალისთვის შეთავაზებულმა ზესწრაფმა თამაშმა.

ეს წელი კი ფედერერ-ნადალის დაპირისპირების ნიშანქვეშ მიმდინარეობს. უცნობია, როდის იქნება შემდეგი ჯახი, მაგრამ მთავარი ერთია — გაგრძელება აუცილებლად იქნება.

ამელი მორესმოს ახალი გრძნობა

„ვინც ნერვებს გაუმკლავდება, ის მოიგებს“ — წინასწარ შეთანხმებულებივით განაცხადეს ფინალის წინ ამელი მორესმომ და ჟუსტინ ენენ-არდენმა. თუმც შაბათს ნერვების კონტროლთან ერთად გადამწყვეტი მეტოქის რაიმე ახლით გაოცების უნარიც გამოდგა, რასაც ფრანგმა უკეთესად გაართვა თავი და წლეულს უკვე მეორე სლემტურნირი მოიგო. ამასთანავე მორესმო პირველი ფრანგია 1925 წლის შემდეგ, ვინც უიმბლდონზე იმარჯვა — მაშინ ეს ლეგენდარულმა სიუზენ ლენგლენმა შეძლო.

ასეთი ფინალი იანვარში მელბურნშიც ვიხილეთ. თუმც შაბათის მატჩი ავსტრალიისას მხოლოდ შემადგენლობით თუ ჰგავდა. მელბურნში ხომ ფინალი რეალურად არც შემდგარა — ტრავმის გამო ენენმა ერთი სეტის თამაში ძლივს მოახერხა და ამიტომაც მორესმო ამბობდა, რაღაც სრულყოფილად ვერ ვგრძნობ გამარჯვებასო.

სამაგიეროდ, შაბათს იყო ნაღდი ჯახი, ნერვების თამაში და უდიდესი ემოციებიც. ეს გამარჯვება მორესმოს ნამდვილად არ დაუტოვებს დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, რადგანაც მან დიდი ომი გადაიტანა.

არადა, მატჩი ისე დაიწყო, როგორც ყველა მოელოდა, მაგრამ არავის სურდა — ენენმა აშკარად დაჯაბნა ფრანგი, უიმბლდონის ფინალში კი მაყურებელი სანახაობას ელოდა... ჰოდა, მეორე სეტიდან სანახაობაც დაიწყო, როცა მორესმო დაწყნარდა და თამაშის ბატონ-პატრონი გახდა.

ამელიმ მალე გაათანაბრა ანგარიში და მესამე პარტიის მესამე გეიმში მეტოქე „გატეხა“. თითქოს არ უნდა ყოფილიყო ეს გამოუვალი ენენისთვის, რომელმაც ნახევარფინალში კიმ კლაისტერსს ერთხელაც არ შეარჩინა ბრეიკი. თუმც მორესმო იმდენად იყო კონცენტრირებული, რომ თავის მოწოდებებზე შანსიც კი არ მიუცია მეტოქისთვის, საპასუხო ბრეიკი გაეკეთებინა.

მერე კი, მერე მხოლოდ დიდი ემოციები და სიხარული იყო — მორესმო იცინოდა და ტიროდა, მილოცვებს იღებდა და ლაპარაკის თავი აღარ ჰქონდა.

„ბრავო! ეს დიდებული იყო! ბრწყინვალე და ამასთანავე ელეგანტური თამაში ვნახეთ“ — ამ სიტყვებით მიულოცა ამელის საფრანგეთის პრეზიდენტმა, ბოლო დღეებში თავისიანების რიგით გულშემატკივრად ქცეულმა ჟაკ შირაკმა.

ქაჯა ლომაუშვილი

WIMBLEDON 2006-ის ყველა ფინალი

ქალები **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) 6:0 7:6 6:7 6:3

ქალები **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — **ჟუსტინ ენენ-რდენი** (3, ბელგია) 2:6 6:3 6:4

ქალთა წყვილები **ბობ და მაიკ ბრიანები** (1, აშშ) — **ფაბრის სანტორო, ნენად სიმონიჩი** (6, საფრანგეთი — სერბეთი) 6:3 4:6 6:4 6:2

ქალთა წყვილები **ძი იანი, ჟი ჟენგი** (ორივე ჩინეთი) — **ვირხინია რუანო-პასკუალი, პაოლა სუარესი** (1, ესპანეთი — არგენტინა) 6:3 3:6 6:2

შერეული წყვილები **ვერა ზვონარევა, ენდი რამი** (9, რუსეთი — ისრაელი) — **ვინუს უილიამსი, ბობ ბრიანი** (ორივე აშშ) 6:3 6:2

ჭაბუკები **ტიმო დე ბეკერი** (1, ჰოლანდია) — **მირსან გევრონი** (პოლონეთი) 6:2 7:6

გოგონები **კაროლინა ვოზნიაკი** (4, დანია) — **მაგდალენა რიბარიკოვა** (6, სლოვაკეთი) 3:6 6:1 6:3

ჭაბუკთა წყვილები **კელენ დამიკო, ნათანიელ შნუქი** (ორივე აშშ) — **მარტინ კლიზანი, ანდრეი მარტინი** (2, ორივე სლოვაკეთი) 7:6 6:2

გოგონათა წყვილები **ალისა კლეიბანოვა, ანასტასია პავლიუჩენკოვა** (2, ორივე რუსეთი) — **კრისტინა ანტონიჩუკი, ალექსანდრა დულჩერუ** (1, უკრაინა — რუმინეთი) 6:1 6:2

ვეტერან ქალთა (35 წელს ზევით) წყვილები **ტოდ ვუდ ბრიჯი, მარკ ვუდფორდი** (ორივე ავსტრალია) — **ტიჯეი მიდლტონი, დევიდ უიტონი** (ორივე აშშ) 6:7 7:5 7:6

ვეტერან ქალთა (45 წელს ზევით) წყვილები **კევინ კარენი, იოჰან კრიკი** (ორივე აშშ) — **პეტერ მაკნამარა, პოლ მაკნამი** (ორივე ავსტრალია) 7:5 6:7 7:6

ვეტერან ქალთა (35 წელს ზევით) წყვილები **როზელინ ნიდეფერი, იანა ნოვოტნა** (აშშ — ჩეხეთი) — **ტრეისი ოსტინი, ნატალი ტოზია** (აშშ — საფრანგეთი) 6:4 6:3

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP მოგლეულიდან



AFP მოგლეულიდან



AFP ბერლინიდან

AFP მოგლეულიდან

იარაღის დაყრა სულაც არ არის იოლი საქმე. შედარებით იოლია, იარაღის მცირე ხნით დაყრა. 120 წუთი პლუს პენალტების სერია — ისრაელის ჯარისკაცებს ამ ხნის განმავლობაში ღაზას სექტორში იარაღი გადადებული ჰქონდათ...

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge